№6(7) 15.02.1...

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი — ფასი 40 კაპიკი — საქართველოს მენეჯერთა კავშირი

## ნომერშია:

**პრობლემა: დოპინგი**
ანტისადოპინგო კამპანია გერმანიაში
მე-4 გვერდი

**ჯანი ბუნიო — „სუპერჩემპიონი“**
1990 წლის საუკეთესო ველომრბოლი
მე-4 გვერდი

**გიორგი ჩოგოვაძე**



შინ და გარეთ
მე-6 გვერდი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეს ფოტო თბილისის სპორტის სასახლეში მაშინ არის გადაღებული, როცა ჩვენ ხელბურთელთა გუნდს, ჯერ კიდევ „სიტყვა ეთქმოდა“ საკავშირო ჩემპიონატებში... ახლა თბილისის „ქარიშხალი“ ამ შეჯიბრების აუტსაიდერია, მაგრამ ჩვენი ხელბურთის პერსპექტივას უფრო საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის პოტენციაში ვხედავთ (იხ. მე-2 გვერდი).

## ნოდარ ახალკაცი: «პასუხს ჩვენ ვაგებთ»

ახალი საფეხბურთო სეზონის წინ ტრადიციულად ეწყობა სპორტულ ჟურნალისტთა შეხვედრა ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელ მუშაკებთან. გუშინწინ გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში სწორედ ასეთი შეხვედრა შედგა. პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე, გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე, რამაზ შენგელია და ილია მჭედლიშვილი. ბატონმა ნოდარ ახალკაცმა პასუხი გასცა ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვას. საუბარი, როგორც მოსალოდნელი იყო, უმთავრესად ეროვნული ჩემპიონატის დებულებაში შეტანილ ცვლილებებს შეეხო.

— ეს ცვლილებები ქართული ფეხბურთის ინტერესებით არის ნაკარნახევი, — თქვა ნოდარ ახალკაცმა, — ჩვენი პოზიცია ჩამოყალიბებულია ვრცელ წერილში, რომელიც გაზეთ „ქართული ფეხბურთის“ პირველი თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა. სამწუხაროდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას არაჯანსაღი მითქმა-მოთქმა მოჰყვა და კამათი დღემდე გრძელდება. არადა, ჩვენი აზრით, აქ საკამათო არაფერია. ცვლილებებს, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, საფუძვლად დაედო ჩვენს ფეხბურთში არსებული არაორდინალური ვითარება. რაკი საერთაშორისო სარბიელზე გასასვლელი გზა ჯერჯერობით მოჭრილი გვაქვს, სწორედ ეროვნული ჩემპიონატის ხარჯზე უნდა გავზარდოთ მატჩების რაოდენობა, რაც თავის მხრივ აუცილებელია ოსტატობის შესანარჩუნებლად. გასათვალისწინებელია ფინანსური მხარეც. ეროვნული ჩემპიონატის რეორგანიზაციით ფეხბურთის ფედერაცია დამატებით მიიღებს დაახლოებით 400 ათას მანეთს, რაც ქართულ ფეხბურთს მოხმარდება.

ბატონმა ნოდარ ახალკაცმა ცვლილებებთან დაკავშირებულ სხვა მომენტებზეც გაამახვილა ყურადღება. მისი აზრით, დებულების შეცვლა მოხდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდების სრული დაცვით. რაც შეეხება საექსპერტო კომიტეტს, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში გააპროტესტა დებულების დარღვევის ფაქტი, გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას — ასე თვლის ფედერაციის პრეზიდენტი. აქვე დასძინა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია არა ერთპიროვნულად, არამედ კოლეგიალურად — მწვრთნელთა საბჭოს, ფედერაციის თანამშრომელთა და პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობის დასტურით.

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელმა ყრილობამ ქართული ფეხბურთის ბედი ჩვენ მოგვანდო, — თქვა ბოლოს ნოდარ ახალკაცმა, — ჩვენ ანგარიშვალდებულნი ვართ ყრილობის წინაშე. ჩვენს ყველა გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობას ჩვენვე ვკისრულობთ“.

**ზუსტად ერთი წლის წინ, 1990 წლის 15 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელმა ყრილობამ მიიღო ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია.**



## და მაინც, მეორე?

მორიგი მსოფლიო რეკორდი დაამყარა დონეცკელმა ჭოკით მხტომელმა სერგეი ბუბკამ ვოლგოგრადში, საკავშირო ჩემპიონატში — 608 სმ. სხვათა შორის მისი ყველა რეკორდი ან „შინაურ“ პირველობებზეა დამყარებული, ანდა — კომერციულ ტურნირებზე, სადაც სადოპინგო შემოწმების სუსხი მეტისმეტად რბილია. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვიქტორ ზელიჩენოკმა ევროპის ჩემპიონატის წინ გუნდში ნომერ პირველ ჭოკით მხტომელად ბუბკა კი არ დაასახელა, არამედ ვოლგოგრადში მეორე ადგილზე გასული ტაშკენტელი ვ.რიჟენკოვი.

## როგორც შარშან...

თბილისელმა ჩოგბურთელმა ლელა მესხმა შარშანდელი წარმატება გაიმეორა — ახალ ზელანდიაში გაიმარჯვა საერთაშორისო ტურნირზე. ბოლო ხანს ასეთი მიღწევები ჩვეული ამბავი გახდა მისთვის, ამიტომ იმედით დაველოდებით სხვა მნიშვნელოვანი ასპარეზობების შედეგებსაც, რომლებშიც უნდა იასპარეზოს ჩვენმა ჩოგბურთელმა.

როგორც სპორტის მოყვარულებმა იციან ლელამ გასული წლის მიწურულს გადაწყვიტა თავისი სპორტული ცხოვრების განმკარგულებელი თვითონ ყოფილიყო, უარი თქვა ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციის „მფარველობაზე“.



## თუ დაგიჭერენ თქვენს თავს დააბრალეთ

საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა იური ტიურინმა, რომელიც საშუალო და გრძელ მანძილებზე მორბენალთა მომზადებას ხელმძღვანელობდა, ოფიციალურად განაცხადა, რომ ნაკრებში დოპინგის მიღება ჩვეულებრივი ამბავი იყო. მისივე თქმით, როცა საკავშირო სპორტკომიტეტს სათავეში სერგეი პავლოვი ედგა, ეს მავნე ცდები სპორტსმენებზე ჩატარებული სამედიცინო-მეცნიერული გამოკვლევების ნიღბით იფარებოდა, მარატ გრამოვის თავმჯდომარეობის დროს კი მწვრთნელებსაც და მათ შეგირდებსაც პირდაპირ განუცხადეს: რაც გინდათ, ის მიიღეთ, თუ ჩავარდებით, თქვენ თავს დააბრალეთ, თუ „გადარჩით“, მედლებსა და ორდენებს ელოდეთო. მართლაც, თუ საბჭოთა მძლეოსანს დოპინგის მიღებაში ამხელდნენ, ხელმძღვანელები და ექიმები მუდამ განზე რჩებოდნენ და ჯოხი მხოლოდ ათლეტზე ტყდებოდა.

ტიურინმა ისიც თქვა, რომ სპორტკომიტეტისადმი დაქვემდებარებული სამედიცინო ლაბორატორიები დოპინგის შენიღბვის ლაბორატორიები უფრო იყვნენ, ვიდრე გამოვლენისა.

# ვითომ გუშინდელნი



**ხელბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი ტური**

პირველად ფეხბურთმა დაგვანახვა, რას ნიშნავს ჩვენთვის ეროვნული ჩემპიონატი. რახან ნავსი გატყდა (ნავსი კი არა, დიდი ფსიქოლოგიური ბარიერი გადაილახა), სხვებმაც დაიწყეს ეროვნულ შეჯიბრებებზე ფიქრი და მთელი ძალების მობილიზება ამ ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად.

ჩვენი ხელბურთის მთელი ძალაა ჩაბმული ეროვნულ ჩემპიონატში, რომლის პირველი ტური უკვე გაიმართა თბილისში. ოღონდ ამ „ტოტალურ მობილიზებას" არმიული მკაცრი წესდება კი არ ედო საფუძვლად, არამედ სპორტის, ხელბურთის სიყვარული და პირველ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის სიხარული. აბა, სხვა რა ძალა გამოიყვანდა მოედანზე 40-45 წლის ვეტერანებს, რომელთა გუნდი ჯერ კიდევ მრისხანე ძალად ითვლება მათს ახალგაზრდა კოლეგებში. ბარემ აქვე მის შემადგენლობასაც გაგაცნობთ და დანარჩენს თვითონ მიხვდებით: იმედო ფხაკაძე, ალექსანდრე ანპილოგოვი, ამბერკი ტაბიძე, ზაზა დოლიძე, გიორგი და ვახტანგ ბერიაშვილები, გიორგი ნარიმანიძე, ალექსანდრე ნავროზაშვილი, ამირან კომახიძე, ჯემალ ბარამიძე, დიმიტრი აბესაძე, ბორის კოპალეიშვილი. მწვრთნელია დავით რუხაძე, კაპიტანი ზ.დოლიძე,— ამ გუნდის შექმნის მოთავე.

ეს გვარები მკითხველს, ცხადია, ქართული ხელბურთის უკეთეს პერიოდს გაახსენებს. ამ სპორტსმენთა ოსტატობა დღესაც სამაგალითოა ახალგაზრდებისათვის. თბილისის პირველობაზე, რომელიც საქართველოს ჩემპიონატს წინ უსწრებდა, „ბებრებმა" პირწმინდად მოუგეს მოქმედ სპორტსმენებს. ფინალში მათ დაამარცხეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი (20:18), რომლის რიგებში უმაღლესი ლიგის რამდენიმე მოთამაშე გამოდის. იმ ოციდან 14 გოლი (!) ალექსანდრე ანპილოგოვმა გაიტანა, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინათ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლებოდა. ქალაქის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებმა.

სწორედ ეს სამი გუნდი ითვლება საქართველოს ჩემპიონატის ფავორიტებად. შეჯიბრება ეროვნულიაო, ტყუილად არ გვითქვამს: „ქარიშხლის" ყველა მოთამაშე (იგი, როგორც იცით, საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოდის და, უნდა ითქვას, ჯერჯერობით წარუმატებლად) სხვადასხვა გუნდშია დანაწილებული, რაც ამაღლებს შეჯიბრების საერთო დონეს. მაგალითად, ფოთის სახელით გამოდიან ვლადიმერ ჟუკი და ერიკ სივოპლიასოვი.

ეროვნულ ჩემპიონატს არც მსაჯებმა უღალატეს. მთავარ მსაჯად დაინიშნა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი თამაზ ჩხარტიშვილი. ჯემალ ცერცვაძის, აგრეთვე ვლადიმერ მურადოვის სახელი ბევრს ეუბნება ჩვენი ხელბურთის გულშემატკივრებს.

ჩემპიონატს ატარებს არა სპორტსახკომი, არამედ ხელბურთის რესპუბლიკური ფედერაცია, რომლის თავმჯდომარე, „სამთო ქიმიის" გენერალური დირექტორი ბატონი ნიკა ცხაკაია, რეგულარულად ესწრება მატჩებს. „სპორტსახკომი... მორალურ დახმარებას გვიწევს",— გვითხრეს ხელბურთელებმა. სხვათა შორის, პირველი ტური ყოველგვარი ხარჯის გარეშე ჩატარდა; სასოფლო-სამეურნეო, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტებისა და ხელბურთის ბავშვთა სპეციალიზებული სკოლის დარბაზები უფასოდ დაუთმეს ჩემპიონატის მონაწილეებს. აი, მეორე ტურიდან კი (5 მარტიდან) როცა მატჩები უკვე რაიონებშიც გაიმართება, და საერთოდ, გარკვეული თანხის შოვნა გახდება საჭირო.

ეს ჩემპიონატი პირდაპირ მარათონული იქნება,— დეკემბრის მიწურულს დამთავრდება. მთელი კალენდარი (ჩემპიონატი 6 ტურად არის დაყოფილი) შეადგინა ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის ახალგაზრდა მწვრთნელმა მერაბ მეტრეველმა. ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორებს დიდი პრემიები ელით. საპრიზო ფონდი ფსონის სახით შეკრიბეს მონაწილე კოლექტივებმა — თითომ 3000 მანეთი გაიღო.

პირველ ტურზე, რომელიც, როგორც ვთქვით, თბილისში გაიმართა, არ ჩამოვიდნენ ბათუმელი, ქუთაისელი და სამტრედიელი მოთამაშეები. ზოგიერთის მშობლებს ასე დაძაბული სიტუაციის დროს შეჯიბრებაზე შვილების წამოსვლისაც შეეშინდათ. ამ და სხვა მიზეზით გაცდენილი მატჩები უფრო გვიან გაიმართება.

ვეტერანების თამაშმა აშკარად გამოაცოცხლა შეჯიბრება. იკლო უხეშობამაც და მატჩებმა ზოგ შემთხვევაში ღია გაკვეთილის სახე მიიღო. პირველი ტურის შეხვედრებიდან აღსანიშნავია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდის გამარჯვება ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებთან (26:25), განსაკუთრებით კი ფოთელების წარმატება ვეტერანებთან — 25:24.

გთავაზობთ ჩემპიონატის ცხრილს პირველი ტურის შემდეგ

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ტექნიკური უნივერსიტ. | 2 | 2 | 0 | 0 | 6 |
| ვეტერანები | 3 | 2 | 0 | 1 | 6 |
| ზოოვეტი | 3 | 2 | 0 | 1 | 6 |
| „ოქროს ვერძი" (ფოთი) | 3 | 2 | 0 | 1 | 6 |
| „მართვე-I" (ხელბსკოლა) | 2 | 1 | 0 | 1 | 3 |
| სასოფლო-სამეურნეო ინსტ. | 1 | 1 | 0 | 0 | 3 |
| ფიზკულტურის ინსტ. | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| „მართვე-II" | 3 | 0 | 0 | 3 | 0 |
| თელავი | 2 | 0 | 0 | 2 | 0 |
| ქუთაისი | 0 | | | | |
| ბათუმი | 0 | | | | |
| სამტრედია | 0 | | | | |



# თუ მუშაობა არ გამოცოცხლდა

საქართველოში ქალთა კალათბურთს რომ არ ულხინს, ეს ახალი ამბავი არ არის. ამას ისიც ადასტურებს, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაკრები ფაქტობრივად ერთადერთი მუდმივმოქმედი გუნდია რესპუბლიკაში. ჩვენი კალათბურთელები წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ 12 საუკეთესო გუნდს შორის ვერ მოხვდნენ და ახლა მეორე ქვეჯგუფში თამაშობენ.

— უძლიერესთა შორის მოსახვედრად ჯგუფში მეორე ადგილი უნდა დაგვეკავებინა, — ამბობს სტუ-ს გუნდის მთავარი მწვრთნელი გარი არუთინოვი. — სამწუხაროდ, პირველი ეტაპის ამოცანა ვერ შევასრულეთ, რადგან მეტად ძლიერი მეტოქეები შეგვხვდა — კიევისა და ვოლგოგრადის დინამოელები. საკავშირო ჩემპიონატში, როგორც იცით, სულ 24 გუნდი ჩაება. ახლა ჩვენ „ბ" ქვეჯგუფში ვთამაშობთ და, თუ ამ ეტაპზე ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, პირველ ოთხეულში უნდა მოვხვდეთ. ეს მხოლოდ იმის საშუალებას მოგვცემს, „ა" ქვეჯგუფში IX-XII ადგილებზე გასულებთან ერთად დამატებითი სერიის მატჩებში საბოლოოდ IX ადგილისთვის ვიბრძოლოთ. როგორც ხედავთ, წლევანდელი ჩემპიონატი რთული სისტემით ტარდება, ხშირად გვიწევს მოგზაურობა ქალაქიდან ქალაქში, რაც საწვრთნელ პროცესზეც მოქმედებს და მძიმე ფინანსურ ტვირთადაც აწვება გუნდს. რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე დავუმატებ, რომ ჩვენი მატერიალურ-ფინანსური შესაძლებლობანი ერთობ შეზღუდულია. მართალია, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ყურადღებას არ გვაკლებს, მაგრამ, თუ დაფინანსების სხვა წყაროები არ გამოინახა, ძალიან გაგვიჭირდება. დეკემბერ-იანვარში ხელფასები ვერ გავეცით, მოთამაშეებს საფასურსაც ვერ ვუნაზღაურებთ. გარდა ამისა, გუნდს არა აქვს საკუთარი საწვრთნელი ბაზა. რამდენიმე წელია სპორტული დარბაზი აშენდა, მაგრამ გათბობის სისტემა არ მუშაობს და ზამთარში ვარჯიში შეუძლებელია.

გუნდში არც ერთი მოწვეული სპორტსმენი არა გვყავს, ყველანი კალათბურთის ქართული სკოლის აღზრდილები არიან. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ წამყვან მოთამაშეთა ასაკი უკვე კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. არადა, უახლოეს მომავალში საიმედო ცვლა არ ჩანს. შევსებას მხოლოდ ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლიდან ვიღებთ. რამდენიმე საიმედო კალათბურთელი გამოჩნდა ქუთაისში, სოხუმში. საერთოდ, თუ ადგილებზე მუშაობა არ გამოცოცხლდა და რეზერვის მომზადებისთვის სერიოზულად არ ვიზრუნეთ, ხვალ-ზეგ ეს უთუოდ დაეტყობა რესპუბლიკის პირველ გუნდს. მერე ალბათ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზეც უნდა ვიფიქროთ. ჩვენს ახალგაზრდა კალათბურთელებს თამაშის პრაქტიკაც აშკარად აკლიათ და რეგულარული საშინაო ტურნირები ნაწილობრივ მაინც შეავსებს ამ ხარვეზს.

**დიმიტრი ოზოლაძე**

## თხილამურები

# შვედებმა ხომ არ დააშინეს?

როგორც ადრე არაერთხელ მომხდარა, ახლაც ქალმა გადაარჩინა სირცხვილს საბჭოთა კავშირის ნაკრები. ლაპარაკია იტალიის ქალაქ კავალეზესთან ახლოს მიმდინარე მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე. ელენა ვიალბეს ოქროს დუბლი რომ არა, მისი მთლიანი გუნდის გამოსვლა, უეჭველია, დიდ ჩავარდნად ჩაითვლებოდა.

მართლაც საბჭოთა კავშირში უნდა ცხოვრობდე ადამიანი, რომ სათხილამურო სპორტში ასე ჩამორჩე პატარა ნორვეგიის წარმომადგენლებს. ამ ქვეყნის მცხოვრებთა რიცხვი ხომ 4,5 მილიონსაც ვერ აღწევს. საბჭოთა კავშირში კი ამაზე მეტი მოთხილამურეა. მართალია, მათი სავარჯიშო პირობების შედარებაც კი არ შეიძლება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის უზარმაზარი, თოვლიანი ტერიტორია და ისიც, რომ თხილამურებით მოპოვებული წარმატებები ხშირად ცხოვრებაში წინსვლის ერთადერთი საშუალებაა ვთქვათ სიკტივკარის, სვერდლოვსკის, ბარნაულისა და სხვა ქალაქებისა და რეგიონების მრავალი მცხოვრებისათვის.

ასეა თუ ისე, ფაქტია — იტალიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში ჯერჯერობით პირდაპირ მეფობენ ნორვეგიელები, რომლებმაც უკვე 4 ოქროს მედალი მოიპოვეს. თოვლიან ბილიკებზე შეუდარებელნი არიან ტერი ლანგლი, ბიორნ დელი, ტრუდე დიუბენდალი. მათმა თანამემამულე ფრედ ლუნდბერგმა ყველას აჯობა სათხილამურო ორჭიდში.

უნდა ითქვას, რომ ნორვეგიელთა ეს წარმატება ცოტა მოულოდნელიც ჩანს მათი „ტოტალური ხასიათის" გამო, რადგან წინა ჩემპიონატებში და ოლიმპიადაზეც უფრო მოკრძალებულ შედეგებს აღწევდნენ. მთავარ ფავორიტებად უფრო შვედები ითვლებოდნენ, რომლებსაც ჰყავთ ბოლო წლების შეუდარებელი ლიდერი გუნდე სვანი. ეს ლეგენდარული მოთხილამურე მთელი სეზონის მანძილზე ერთგვარად ჩრდილში იყო, მაგრამ კავალეზეში მაინც მოიგო ოქროს მედალი 30 კილომეტრიან დისტანციაზე. მან დაძაბულ ბრძოლაში 5 წამით აჯობა მთავარ მეტოქეს — სერგეი სმირნოვს. შემდეგ კი სვანმა ამ ჯილდოს ვერცხლის მედალიც დაუმატა.

საბჭოთა მოთხილამურეებმა უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატებზე ძველი დიდება დაკარგეს, მაგრამ, სამაგიეროდ, საოცარი წარმატებებით გამოდიოდნენ ოლიმპიურ თამაშებში. ბევრი ამას სისხლის დოპინგის ზემოქმედებით ხსნიდა, რომელსაც თავისი თითქმის უჩინარი ხასიათის გამო სადოპინგო კონტროლის კომისია თავსა და ბოლოს ვერ უგებდა. მართლაც, ბოლო წლებში საბჭოთა გუნდში გამოჩნდნენ ასე ვთქვათ მოულოდნელი ზეჩემპიონები (მაგალითად ზიმიატოვი, პროკუროროვი...) რომლებიც მერე, ოლიმპიადებს შორის პერიოდში, მეტად საშუალო შედეგებს აჩვენებდნენ. ხოლო სტაბილურობას ისევ ვეტერანები (სმეტანინა, სმირნოვი) ინარჩუნებდნენ. შარშანდელ სეზონში ასეთი თვისებით თავი გამოიჩინა ელენა ვიალბემაც.

შარშან სისხლის დოპინგის ფუძემდებლებმა, შვედმა სპეციალისტებმა გამოაცხადეს რომ იპოვეს მისი გამომჟღავნების გზა. და იქნებ მიმდინარე ჩემპიონატზე დოპინგის ამ სახეობის მოყვარულები ამიტომ ველარ ბედავენ მის გამოყენებას? თუმცა ასპარეზობა ჯერ არ დამთავრებულა და იმედია, იგი ყველა კითხვაზე გაგვცემს პასუხს (მსოფლიო ჩემპიონატის ტექნიკური შედეგები იხილეთ მეექვსე გვერდზე).

# ორი მედალი

ინდონეზიაში, პრეზიდენტის თასის გათამაშებაზე ორი მედალი მოიპოვეს ქართველმა მოკრივეებმა. ქუთაისელი აკაკი კაკაურიძე უძლიერესი იყო 75 კგ წონითს კატეგორიაში, ხოლო მესტიელი რამაზ ფალიანი (48 კგ) მხოლოდ ფინალში დამარცხდა.

# სწორი პროგნოზი?

ჯერჯერობით მართლდება მსოფლიო ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის პროგნოზი, რომელიც მან გაზეთ „სარბიელისთვის" მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა. მისი აზრით, პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ჩინელ სიე ჟუნსა და იუგოსლავიელ ალისა მარიჩს შორის ჩინელმა მოჭადრაკემ უნდა გაიმარჯვოს. აი, დამთავრდა ამ შეხვედრის პირველი ნახევარი იუგოსლავიაში და წინ სიე ჟუნია — 2,5:1,5. მეორე ნახევარი პეკინში დაიწყება 21 თებერვალს.

# პრიზიც, 10000 მანეთიც

რესპუბლიკურ ტურნირზე მინიფეხბურთში, რომელიც ვიტალი დარასელიას ხსოვნას მიეძღვნა, გამარჯვება მოიპოვა „ნატანებმა", რომელმაც თბილისის სპორტის სასახლეში გამართული შეჯიბრების ფინალში სძლია „ბაღდათს" — 2:0. გამარჯვებულმა საპატიო პრიზთან ერთად 10 ათასი მანეთი პრემიაც დაიმსახურა.

# ახალი გამარჯვება

14 მედალი წამოიღეს დნეპროპეტროვსკიდან საქართველოს ჭაბუკმა ძიუდოისტებმა. თანატოლთა საკავშირო პირველობაში მათ 4 ოქროს, 3 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ: თბილისელი მიხეილ აბაშიძე (49 კგ), გორელი გიორგი ვაზაგაშვილი (62), თელაველი მამუკა ბოტკოველი (83) და ახმეტელი არჩილ მეშველიანი (90).

# მიხეილ მამიაშვილი — მთავარი მწვრთნელი

ოლიმპიური და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, მოსკოველი მიხეილ მამიაშვილი ახლახანს საბჭოთა კავშირის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ამ პოსტზე მისი დებიუტი შედგა შვეციაში, მალერის თასის გათამაშებაზე. საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ამ ტურნირში ასპარეზობდა ქუთაისელი გოგი კოღუაშვილი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. შეჯიბრების გამარჯვებულები გახდნენ: სერგეი სუვოროვი, ალფრედ ტერ-მკრტიჩიანი (ორივე — სსრკ), პეტერ სტერნბერგი (შვეცია), სერგეი მარტინოვი, ისლამ დუგუჩიევი (ორივე — სსრკ), იოზეფ ტრაჩი (პოლონეთი), დაულეთ ტურლიხანოვი (სსრკ), ანდრეი შტეინბახი, მაიკ ბულმანი (ორივე — გერმანია), ანდრეი გრიშინი (სსრკ).

# მარადონა, მაფია და... ნარკოტიკები

დიეგო მარადონას ნეაპოლის მაფიასთან — „კამორასთან" კავშირში ედება ბრალი. მარადონას სახელი ამოტივტივდა მას შემდეგ, რაც პოლიციამ ნარკოტიკებით მოვაჭრეთა ჯგუფი დააპატიმრა. როგორც ჩანს, მარადონა მათგან ნარკოტიკებს ყიდულობდა.

პროკურორმა კორდონემ დაადასტურა, რომ პოლიციამ ჩაიწერა ამ ფაქტის მამხილებელი სატელეფონო საუბრები.

# სამიზნედ — ლენინი

ლენინის ძეგლების დამხობა, ნაირფერი საღებავით „შემკობა" თუ პროლეტარიატის დიდი მესაჭის „ღრმა პატივისცემის" გამოხატვის სხვა ფორმები დღეს უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა. წლების წინ კი ასეთი შემთხვევები განსაკუთრებულ მოვლენად აღიქმებოდა. ჩვენ ახლა სწორედ ასეთ ეპიზოდზე უნდა გიამბოთ, რომელიც, ამასთან, სპორტთან არის დაკავშირებული.

მოგეხსენებათ, მოსკოვის ლუჟნიკის სტადიონი ლენინის სახელს ატარებს და იქვე, ტერიტორიაზე, ცხადია, მისი უზარმაზარი ქანდაკებაც დგას. სტადიონის ტრიბუნების კორპუსში, უკანა მხარეს, სასტუმრო „ლუჟნიკია", რომლის ფანჯრების ერთი ნაწილი ლენინის კეფას გასცქერის. თორმეტი წლის წინათ, ერთ მშვენიერ დღეს, ამ კეფას ამ ფანჯრებიდან ტყვია დააყარეს (მათ შორის მანძილი ორმოცდაათიოდე მეტრია). ტყვიები „დიდი ბელადის" ასეთივე ზომის თავს ეხლებოდნენ და რიკოშეტითა და ზუზუნით ცვიოდნენ აქეთ-იქით.

მორიგე მილიციელებმა ერთხანს ვერ გაარკვიეს, საიდან მოდიოდა ეს კანონადა. შემდეგ, როცა „დოტები" — სასტუმროს ფანჯრები აღმოაჩინეს, დასახმარებლად სხვა ნაწილიც გამოიძახეს და სასტუმრო აიღეს. იქ მათ სრული აღჭურვილობით დახვდათ ერთი ჯგუფი ახალგაზრდა ტყვიის მსროლელებისა, რომლებიც აშკარად შექეიფიანებული ჩანდნენ. მალე ისინი ყველასთვის ცნობილ ერთ პირქუშ ოთხკუთხა შენობაში მიაბრძანეს, ძერჟინსკის მოედანზე. ასეთივე ბედი ეწია ქალაქიდან დაბრუნებულ მწვრთნელსაც, რომელმაც ამ ამბისა არაფერი იცოდა.

სუკ-ში მიყვანილ მსროლელთა შორის სრულწლოვანებიც იყვნენ, მაგრამ ყველაფერი თავის თავზე აიღო ერთმა 17 წლის ყმაწვილმა. მართალია, ისიც იმავე ეროვნებისა იყო, რა ეროვნებისაც გამომძიებელი, მაგრამ კავკასიაში გახლდათ გაზრდილი და ძმაკაცობის დაუწერელ კანონზე თავისი, უკვე მყარად ჩამოყალიბებული აზრი ჰქონდა. ერთხელ ნათქვამი აღარ გადათქვა.

ეს ამბავი თვით სუკ-ის მაშინდელმა მრისხანე შეფმა იური ანდროპოვმაც გაიგო. მათ კონკრეტულ დამნაშავეებზე მეტად ის აინტერესებდათ, ეს ყველაფერი წინასწარ გამიზნული აქცია იყო თუ ყმაწვილური ანცობა. ერთი კვირის თავზე, როცა „შეთქმულების" ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინეს, დაჭერილები გამოუშვეს და, ცხადია, „ალერსიანი დარიგებაც" გამოაყოლეს. ხოლო თუ ვინ გაიმარჯვა იმ „არაოფიციალურ შეჯიბრებაში", რომელსაც სათავე ჯერ კიდევ 1921 წელს დაუდო ცნობილმა ესერმა ქალმა ფანი კაპლანმა, დღესაც უცნობია.

# ვაი, ეროვნულო ჩემპიონატო



ორი კვირის წინათ, როცა მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის ფორმულა დამტკიცდა და წილისყრაც მოეწყო, გვეგონა, რომ საქმე კარგად გვქონდა — შეჯიბრება წესისა და რიგის მიხედვით ჩატარდებოდა.

ახლა ირკვევა, რომ შეიძლება ჩემპიონატს გამოაკლდეს თბილისის ორი მოწინავე გუნდი — „ქორები" (ყოფილი „ელმავალი") და „მიმინო", და ეროვნულ ლიგას რვა გუნდიღა შემორჩეს. ამით შეჯიბრების უკვე დამტკიცებული ფორმულა დაირღვევა და ჩემპიონატიც ფიქციად იქცევა.

რა არის „ქორებისა" და „მიმინოს" შესაძლო განდგომის მიზეზი? რა და ის, რომ დასახელებული გუნდების მომძლავრება გულწრფელად სწადია, რატომ არ შექმნის ელემენტარულ სავარჯიშო თუ საასპარეზო პირობებს, რატომ არ დაეხმარება რაგბის კლუბის რეგისტრაციაში, დაუყვედრებლად რატომ არ უქირავებს მოედანს, უყიდის სათამაშო ტანსაცმელსა თუ ბურთებს? ანდა, ინსტიტუტის საფეხბურთო-სარაგბო მოედნის ადგილას მწვანე კუთხისა და ჩოგბურთის მოედნების მშენებლობა რად წამოუწყია?"

„რა ქნან იმ „ყოჩებმა", ძალისძალად მოყვანილ „ქორებსა" და „მიმინოებს" რომ უნდა დაუთმონ ადგილი? რაგბის თავი მიანებონ?"

„საიდან შეივსონ დანაკლისი თამაშეთა უმეტესობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტია, ამ სასწავლებლის რექტორატს კი თავისი გუნდის („ყოჩების") მათ ხარჯზე გაძლიერება განუზრახავს. თუ ასე მოხდა, ზემოთხსენებული ორი კლუბი თხუთმეტ-თხუთმეტ მორაგბესაც კი ველარ მოუყრის თავს.

საქმე სავალალოდაა: სტუ-ში „სპორტული სიებით" მოწყობილი „ქორებისა" და „მიმინოების" უმრავლესობას, სწავლის ინდივიდუალური გრაფიკების მიუხედავად, სხვა სტუდენტ სპორტსმენთა მსგავსად, „კუდები" მრავლად გამოჰყვა. როგორც მოთამაშენი აღიარებენ, დარჩენილი გამოცდების ჩაბარება თავიანთი ცოდნით მათ არ ძალუძთ. ამით სარგებლობს ინსტიტუტის სპორტკლუბისა და ფიზაღზრდის კათედრის მიერ წაქეზებული რექტორატი და „კუდიანებს" უცხადებს: გადმოხვალთ ჩვენს გუნდში, გამოცდებსაც ჩაგაბარებინებთ, არადა თავად გაისტუმრეთ საგამოცდო ვალები, თორემ გაირიცხებითო!

რა გვეთქმის, სამართლიანი თუ არა, სხვა ვითარებაში გასაგები მაინც იქნებოდა ეს მოთხოვნა — რაც უნდა იყოს, ოროსან სპორტსმენთა პრობლემა ჩვენი ყოფის მანკიერებითაა ნასაზრდოები. და მაინც, არც გასაჭირში ჩავარდნილთა კუთხეში მიმწყვდევა გვგონია დიდი ვაჟკაცობა!

გარდა ამისა, „კუდიანთა" მდევნელებს, ვიდრე ჩანაფიქრს ხორცს შეასხამდნენ, მრავალ კითხვაზე აქვთ პასუხი გასაცემი. აი, ეს კითხვებიც:

„თუ საერთოდ არ გჭირდებათ უვიცი სპეციალისტი, ოროსანი სპორტსმენი რაღად უნდა შეიწყნაროთ. მარტო იმიტომ, რომ ინსტიტუტის სასახელოდ გჭირდებათ?"

„როცა მორაგბეებს სპორტული სიებით სტუ-ში ილებდნენ, მაშინ კი დაადებინეს პირობა, მაინცდამაინც „ყოჩებში" ითამაშებთო?"

„როგორც რექტორატის ულტიმატუმიდან ირკვევა, ოროსნების საკითხი მხოლოდ ეროვნულ პირველობას ეხება, სსრკ ჩემპიონატში კი „ქორებიცა" და „მიმინოც" ძველებურადვე ინავარდებენ. ეს როგორ, ბატონებო, ეროვნულ ჩემპიონატს გვიშლით? თქვენდა უნებურად იმათ წისქვილზე ასხამთ წყალს, ვინც ერთთავად იმის ცდაშია, ეროვნულ ჩემპიონატს გაექცეს?"

„რამდენად შესაძლებელია, მოთამაშეთა დიდი ჯგუფი ერთდროულად ორი კლუბის წევრი იყოს? ერთ გუნდში ვარჯიშობდეს, სათამაშოდ კი მეორეში მიდიოდეს? ამ გუნდების მწვრთნელები როგორღა მორიგდნენ?"

„თუ ინსტიტუტს „ყოჩების" „ქორებმა" და „მიმინომ"? „ყოჩებისგან" ხომ არა? ერთი სიტყვით, მოთამაშეთა გაცვლა-გამოცვლა ხომ არ უნდა გაჩაღდეს?"

„რაღა ვქნათ, სტუ-ს მაგალითი სასოფლო-სამეურნეო და ფიზკულტურის ინსტიტუტების რექტორატებმაც რომ გადაიღონ? ერთიანად ავდლვიბოთ გუნდები ერთმანეთში? რისი გულისთვის?"

ერთი სიტყვით, სტუ-ს რექტორატის ჩანაფიქრი რომ განხორციელდეს, ქართული რაგბის საქმე უკან წავა. უთუოდ ბედის ირონიაა: თუ აქამდე რაგბის კავშირს საზრუნავი ის ჰქონდა, სტუდენტური გუნდები „ქორების" თავდასხმებისგან რამენაირად დაეცვა, ახლა საქმე პირიქითაა: „ქორები" გამხდარან „ყოჩებისაგან" დასაფარავი. საფიქრებელია, რომ რაგბის კავშირი სასწრაფოდ გამოიგონებს მექანიზმსა და შეთხზავს წესს, რომელიც გუნდიდან გუნდში მოთამაშეთა გადასვლას შეზღუდავს და კლუბებს უეცარი დარბევისაგან დაიფარავს.

ზაალ ბიბინეიშვილი

# ნათესაობამ არ დააღალატა

## ძმებიც და მეტოქენიც

დღევანდელ სიტუაციაში საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკა, მეტ-ნაკლებად მაინც, ცდილობს დამოუკიდებლადაც დაამყაროს სპორტული კონტაქტები. რესპუბლიკა მოლდოვას ამ მხრივ დიდი მოკავშირე ჰყავს თავისი სისხლისა და ხორცის — რუმინეთის სახით. ახლახან კიშინიოვში გადაწყვიტეს მძლეოსანთა პირველი საერთაშორისო ტურნირის მოწყობა, ოღონდ ჯერ მხოლოდ თურქი და, ცხადია, რუმინელი სპორტსმენების მიწვევა მოასწრეს. თურქეთის გუნდმა გართულებული საერთაშორისო მდგომარეობის გამო მოლდოვაში ჩასვლა ვერ მოახერხა, ნათესაობა კი (ე. ი. რუმინელები) დიდი რაზმით ეწვია კიშინიოვს.

მასპინძლებმა ასპარეზობაზე მიიპატიჟეს მძლეოსნობაში თავიანთი ტრადიციული პარტნიორებიც — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები. სხვათა შორის, ჩვენი მეზობლები, სომხები და აზერბაიჯანელები, სავსებით მშვიდ ვითარებაში, სპორტული კოდექსის სრული დაცვით ასპარეზობდნენ ერთმანეთთანაც და სხვებთანაც.

აქვე გაგაცნობთ საქართველოს მძლეოსანთა საუკეთესო შედეგებს: **110 მ თარჯრბენი.** 1. გელა ვეშაპიძე — 7,96; 2. ევგენი გორგაძე — 8. 08; 3.ვიაჩესლავ ივანოვი — 8.26. **ბირთვი.** 1. მერაბ ყურაშვილი. **ქალები.** 1. ელვირა ურუსოვა — 16,41. **1500 მ.** 2. ოლეგ ხოხლოვი — 3.55,0. **3000 მ.** 2. ო. ხოხლოვი — 8. 23,4. **400 მ.** 2. მაია ხიდაშელი — 56,72. **სიგრძეზე ხტომა.** 4. მარკ მალისოვი — 760 სმ.

ამ მძლეოსანთაგან მხოლოდ ოთხმა იასპარეზა ვოლგოგრადში, საკავშირო ჩემპიონატში. თუ ვეშაპიძემ და მალისოვმა გააუარესეს შედეგები (შესაბამისად 8,18 წმ და 7,23 მ აჩვენეს), ხოხლოვმა, პირიქით, გააუმჯობესა (1500 მ — 3.50, 82; 3000 მ — 8.22,98).

# გულშემატკივრის ცნობარი

4

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

აფროსნობის ჰოლანდიურ წარმოშობაზე ერთი ასეთი ფაქტიც მიგვანიშნებს: მსოფლიოში ოფიციალურად რეგისტრირებული პირველი იახტსმენი ყოფილა ჰოლანდიელი ქირურგი ჰენრი დე ვოგტი, რომელმაც 1601 წელს (დააკვირდით ამ თარიღს) თვითნაკეთი იალქნიანი ნავით თავისი ქვეყნიდან ინგლისამდე იმოგზაურა. მაშ ასე, პირველი დე ვოგტია, მერე კი... მერე მოდიან მეფეები, უფლისწულები, სამეფო გვართან დაახლოებული დიდგვაროვნები...

როგორც ცნობილია, ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციისა და კრომველის მიერ დევნილმა კარლოს მეორემ თავი ჰოლანდიას შეაფარა და იქ ნახა პირველად იახტინგი. პარლამენტის თხოვნით ინგლისში დაბრუნებულმა ტახტის მემკვიდრემ იალქნიანი ნავების მთელი ფლოტილია შექმნა, თავისთვის კი 1661 წელს (ამ თარიღსაც დააკვირდით) კომფორტული იახტა ააგებინა, რომელსაც „ეკატერინე" უწოდა. მეორე ასეთივე იახტა — „ანა" — ააგო მისმა ძმამ, იორკის ჰერცოგმა, შემდგომში იაკობ მეორემ. აი, რა უდევს საფუძვლად გადმოცემას სპორტული აფროსნობის ინგლისური წარმოშობის შესახებ. მით უმეტეს, რომ იმავე 1661 წლის 1 ოქტომბერს ლონდონში, მდინარე ტემზაზე, ერთმანეთს სისწრაფეში შეეჯიბრნენ „ეკატერინე" და „ანა".

ინგლისის სამეფო გვარის წარმომადგენელთა შემდეგ საპატიო სპორტსმენ-იახტსმენთა შორის მოიხსენიებენ პრუსიის მეფე ფრიდრიჰ I (იახტა - „კრონა"), მისი ვაჟიშვილი და მემკვიდრე ვილჰელმ I (მან თავისი იახტა პეტრე პირველს აჩუქა), ევროპის ქვეყნების სხვა მონარქები, მათი მემკვიდრეები, ოჯახებთან დაახლოებული დიდებულები...

იალქნიანი ნავებით მოგზაურობა და შეჯიბრება მხოლოდ შეძლებულთათვის იყო ხელმისაწვდომი. ამიტომ მას არისტოკრატთა (არისტოკრატიული) სპორტი შეარქვეს. ნავების მოვლა-პატრონობას დრო, სპეციალისტები და ხარჯები სჭირდებოდა. ამ საქმის კოორდინაციის მიზნით სხვადასხვა ქვეყანაში შეიქმნა იახტ-კლუბები. აი, ეს ახალი სამსახური იყო ბოლო რგოლი, რომელმაც აფროსნობას სპორტის სახეობის კვალიფიკაცია მისცა. ეს მოხდა XIX საუკუნის შუა წლებში.

ნელ-ნელა ჩვენთვის უკვე ცნობილი ნავების ორ ტიპს (დე ვოგტის 1601 წლის სასეირნო იახტინგი და 60 წლის შემდეგდროინდელი „ეკატერინე" და „ანა", რომლებიც პირველად შეეჯიბრნენ ერთმანეთს სისწრაფეში) დაემატა კიდევ ორი ახალი ტიპი. ისინი განკუთვნილნი იყო ზღვებსა და ოკეანეებში ქრონომეტრიული რბოლებისთვის და მსოფლიოს გარშემო მოგზაურობისთვის (ზემძლავრი იალქნიანი ხომალდები).

მესამე ტიპის (ქრონომეტრული) ნავის გამოცდა, უფრო ზუსტად კი დამკვიდრება, მოხდა 1851 წელს ლონდონში, როცა მსოფლიო გამოფენაზე მიმავალმა „ამერიკამ" გადასერა ატლანტის ოკეანე და მშვიდად, ყოველგვარი ხიფათის გარეშე ჩავიდა დანიშნულების ადგილზე. ასე დაიწყო საოკეანო მარათონული რეგატების სერია.

დაბოლოს წინა პლანზე გამოდის მეოთხე ტიპის ნავები, რომლებიც უმთავრესად მსოფლიოს გარშემო მოგზაურობისთვის იყო განკუთვნილი. აქ სპეციალისტები პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ შოტლანდიელ ჯოშუა სლოკამს, რომელმაც 1895 წელს თავისი „სპრეეთი" მარტოდმარტომ შემოუარა დედამიწას. ამ ზემარათონულ „რეგატას" სამი წელი, ორი თვე და ორი დღე დასჭირდა.

მსოფლიოში აფროსანთა უამრავი შეჯიბრება ტარდება. მათ შორის ყველაზე ძველი და პრესტიჟულია „კამბერლენდის თასი" (ინგლისი), რომელიც სათვალავს 1715 წლიდან ითვლის. მეორე, არანაკლებ ცნობილი რეგატაა „ამერიკის თასი", იალქნიანი ხომალდის „ამერიკის" ლეგენდარული რეისის (1851 წელი) პატივსაცემად დაარსდა. არის სხვა პოპულარული რეგატები ინგლისშიც, ამერიკაშიც, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და ა.შ. არადა, ყველაზე პრესტიჟულად მაინც ის რბოლები ითვლება, რომლებიც 1900 წლის შემდეგ ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია შეტანილი.

საერთოდ ოლიმპიურ რეგატებს არა აქვს უცვლელი და მტკიცე რეგლამენტი. 1908 წლის თამაშებში, მაგალითად, მხოლოდ ოთხი კლასის ნავები გამოდიოდნენ, 1920 წლის ოლიმპიადის პროგრამაში კი თოთხმეტი კლასი იყო შეტანილი. ოლიმპიურ კლასებში ყველაზე გავრცელებულ ნავებად ითვლება: „ვარსკვლავი", „სოლინგი", „მფრინავი ჰოლანდიელი", „ფინი", „ტორნადო" და „470".

საქართველოში, ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობების მიუხედავად, აფროსნობა ცალმხრივადაა განვითარებული (ტექნიკური ბაზის უქონლობის გამო) და უმთავრესად ზღვისპირა რაიონების პრეროგატივად ითვლება, თუმცა ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი იახტსმენი თბილისის ზღვაზე გახლავთ აღზრდილი. ეს არის გურამ ბიგანიშვილი, რომელმაც 80-იანი წლების პირველ ნახევარში ფაქტობრივად ყველა უმაღლესი საკავშირო ტიტული მოიპოვა „ვარსკვლავის" კლასში (იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, თასის მფლობელი, სხვადასხვა რეგატაში გამარჯვებული), გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონატშიც. სამწუხაროდ, ბიგანიშვილს ჩვენში არც სერიოზული მეტოქე ჰყოლია და, რაც კიდევ უფრო უსიამოვნოა, არც ღირსეული გამგრძელებელი.

ბ

## ბადმინტონი

ამ თამაშის წარმოშობასთან დაკავშირებით სარწმუნოდ ითვლება მხოლოდ ერთი თარიღი — 1872 წელი, და ერთი, ისტორიულად ცნობილი გვარი — ბოფორტი (ინგლისელი ჰერცოგი, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი ინდოეთში გაატარა). მაგრამ ისე ნუ იფიქრებთ, თითქოს ბადმინტონი XIX საუკუნის მეორე ნახევრის თამაში იყოს. მას ბევრად უფრო ძველი და ამავე დროს ერთგვარად დაუდგენელი ისტორია აქვს.

ბადმინტონის მსგავს თამაშს იცნობდნენ ჩინელები, რასაც დოკუმენტურად ადასტურებს თავის ჩანაწერებში ცნობილი იტალიელი მოგზაური მარკო პოლო (1254-1324 წწ.). იგი პირველი ევროპელია, რომელმაც იმოგზაურა ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში, ძირფესვიანად შეისწავლა იქაური ხალხების ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი და უტყუარი ცნობები დაგვიტოვა მათზე. პოლო თავის ნაწერებში ხშირად ახსენებს თამაშს ფრთიანი ბურთით, რომელიც პოპულარული ყოფილა საზოგადოების ყველა ფენაში.

მაგრამ გაცილებით ადრე ამ თამაშს თურმე ინდოეთში იცნობდნენ და ზოგან მას „პუნეს" უწოდებდნენ, ზოგან კი — „პეონას". ფრთიანი ბურთით თამაში პოპულარული გასართობი ყოფილა ძველ საფრანგეთშიც („მფრინავი მამალი"), იაპონიაში კი მას „ოიბანე" ერქვა, სიტყვასიტყვით — „მფრინავი ფრთა". უძველესი ქრონიკების მიხედვით, იაპონელები ალუბლის მოზრდილ ნაყოფში არჭობდნენ ბატის ფრთას, ჩოგნად კი ბრტყელ ფიცარს იყენებდნენ და ასე თამაშობდნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი

# დოპინგის ეპიდემია

## ანუ მედლის მეორე მხარე

ზეიმი არ შედგა. იგი თითქმის სამგლოვიარო განწყობილებამ შეცვალა: გერმანიის სპორტის გაერთიანებამ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მეორე მხარეც გამოაჩინა. აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის სპორტსმენები წარმატების მისაღწევად თურმე ბინძურ ხერხებსაც არ თაკილობდნენ. რამდენად მყარად ყოფილა გამჯდარი ეს სიმახინჯე გერმანულ სპორტში, საჯაროდ პირველად „შტერნსა“ და „შპიგელში“ გამოქვეყნებულმა წერილებმა გამოიტანა სააშკარაოზე. ყოფილ გდრ-ში სპორტსმენებს მეცნიერების მიერ ზედმიწევნით ზუსტად შედგენილი გრაფიკის მიხედვით ჭყიპავდნენ ათასგვარი ანაბოლური საშუალებებით — სოციალიზმის სადიდებლად, ხოლო დასავლეთში დაახლოებით ასევე იქცეოდნენ უპასუხისმგებლო მწვრთნელები და ფუნქციონერები — ერთი მხრივ სახელის მოსახვეჭად, მეორე მხრივ თავიანთი სპონსორების მიერ გაწეული ხარჯების გასამართლებლად.

ახლა ჩვენში გერმანელებისთვის დამახასიათებელი საფუძვლიანობით ცდილობენ დაძლიონ დოპინგის პრობლემა და სამუდამოდ განდევნონ იგი სპორტიდან. გერმანიის სპორტის კავშირმა (გსკ) და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა (ეოკ) მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება „დამოუკიდებელი სადოპინგო კომისიის“ შექმნის თაობაზე. ეოკ-ის პრეზიდენტის ვილი დაუმეს სურვილით კომისიაში შეიყვანეს ადამიანები, რომლებსაც სპორტთან უშუალო კავშირი არ ჰქონიათ. კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ჰაინრიჰ რაიტერი, ფედერალური სოციალური სასამართლოს პრეზიდენტი. როგორც მიუდგომელმა მოსამართლემ რაიტერმა სახელი გაითქვა გერმანიის პოლიგრაფიულ ინდუსტრიაში მუშათა და მათ ხელმძღვანელთა შორის ამას წინათ მომხდარი კონფლიქტის დროს. მას მხარში უდგას კიდევ ხუთი პროფესორი, უმეტესწილად მედიკოსები და ფსიქოლოგები. ახლად შექმნილი კომისიის ერთადერთი წევრი, რომელსაც არავითარი აკადემიური ტიტული არ გააჩნია, გახლავთ გერმანელი სპორტსმენების წარმომადგენელი, აკადემიურ ნიჩბოსნობაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ფოლკერ გრაბო.

კომისიამ თავიდანვე იმდენად დიდი მიზნები დაისახა, რომ სულაც არ გამიკვირდება თუ ზოგიერთი მათგანის განხორციელება უახლოეს მომავალში ვერ მოხერხდა. „ჩვენი ამოცანაა სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს ერთხელ და სამუდამოდ უარი ვათქმევინოთ წარსულ მეთოდებზე და სამომავლო მოქმედების გეგმა დავსახოთ“ — მითხრა გსკ-ს თავმჯდომარემ ჰანს ჰანზენმა. კომისიას სურს ზუსტი წარმოდგენა შეიქმნას დოპინგის მსხვერპლთა თუ თავად ცოდვილთა წარსულზე, რისთვისაც სისტემატურად იწვევს იმ მწვრთნელებს, ფუნქციონერებს, ექიმებსა თუ ათლეტებს, ვინც მზად არის გული გადაუშალოს კომისიის წევრებს.

„ცხადია, ვერავის დავაძალებთ გინდა თუ არა მოდი და სიმართლე გვიამბეო, — აღნიშნა კომისიის თავმჯდომარემ რაიტერმა. მეორე მხრივ, თუ დოპინგის ყოფილ თაყვანისმცემელთა გულახდილობა არ იქნა, მისი კომისია აშკარად განწირულია. ამიტომ რაიტერმა იქვე დასძინა: „ზოგიერთმა მწვრთნელმა, ექიმმა თუ ათლეტმა უკვე მოგვცა წერილობითი თანხმობა კომისიის წინაშე წარდგომაზე, რაც წარმატების იმედს გვისახავს“. თუმცა კომისია არ აპირებს პასიური მომლოდინის როლში დარჩეს, რაიტერმა შეადგინა მეტად თავაზიანი წერილი თხოვნით, უპასუხოდ არ დატოვონ იგი და დაუგზავნა იმათ, ვისაც უწინ თუ ახლა რაიმე კავშირი ჰქონია და აქვს დოპინგის პრობლემასთან. რაიტერს დიდი იმედი აქვს, რომ ამ ადამიანთა თანადგომა და გულახდილობა მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს კომისიის საქმიანობას.

მეტად საინტერესოდ მესახება სპორტსმენთა წარმომადგენლის ფოლკერ გრაბოს წინადადება: „უმჯობესი იქნება თუ გულის გადაშლის ანუ ჩვენებათა მიცემის მსურველთ საშუალებას მივცემთ წარსდგნენ არა კომისიის წინაშე, არამედ ერთი-ერთზე ესაუბრონ ჩვენი ნდობით აღჭურვილ რომელიმე პირს“, — განაცხადა მან, — „ეს აზრი მოქმედ სპორტსმენებთან მრავალრიცხოვანი საუბრის მერე გამიჩნდა“. მაგრამ იანვრის მიწურულს ბონში გამართული კომისიის სხდომაზე ამ წინადადებამ ვერ ჰპოვა საკმარისი მხარდაჭერა. მიუხედავად ამისა გრაბო იმედს არ კარგავს. შესაძლო ნდობით აღჭურვილ პირად მან დაასახელა გერმანიის პროტესტანტ სპორტსმენთა ყოფილი წინამძღვარი ზიგფრიდ მენცი, რომლისგანაც მიიღო კიდეც წინასწარი თანხმობა. კომისიის კიდევ ერთი ამოცანაა შექმნას სტატისტიკური სურათი იმისა, თუ სპორტის რომელ სახეობაში რამდენად გავრცელებული იყო დოპინგის მანკიერი პრაქტიკა, ყოველ შემთხვევაში ასეთია ფოლკერ გრაბოს პოზიცია, რომელიც, სხვათა შორის, ჯერ კიდევ კომისიის ჩამოყალიბებამდე არწმუნებდა ეოკ-ის პრეზიდენტ ვილი დაუმეს დოპინგის პრობლემის სირთულესა და აქტუალობაში. დაუმეს კარგა ხანს არ სჯეროდა ან არ სურდა დაეჯერებინა, რომ დოპინგის ხმარება გერმანიაში საათივით აწყობილ სისტემას ემყარებოდა, გრაბოსთან ოთხსაათიანი საუბრის შემდეგ, რომელსაც სხვა არავინ ესწრებოდა და რომლის მსვლელობაშიც პრეზიდენტმა დოპინგის ხმარების მეთოდიკასა და მისი ხულ უფრო მზარდი გეოგრაფიის შესახებ საფუძვლიანი სურათი მიიღო, დაუმემ განაცხადა: „ეს პრობლემა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე ოდესმე წარმომედგინა“.

ამგვარი უსიამოვნო სიურპრიზებისაგან არც კომისიის სხვა წევრები არიან დაზღვეული, მაგრამ კომისია არ აპირებს ყოველი ფაქტის საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანას. ცალკეული შემთხვევების ზედმიწევნითი ანალიზის საფუძველზე, მან უნდა სცადოს საერთო სურათის შექმნა, დაადგინოს რომელ სახეობაში რამდენად მყარად იყო გამჯდარი ეს მავნე პრაქტიკა და რა აიძულებდა სპორტსმენებს მიეღოთ მასტიმულირებელი საშუალებები. „ჩვენ არ ვაპირებთ ვიკისროთ ბრალმდებლის ფუნქცია“, — გადაჭრით ამბობს ჰაინრიჰ რაიტერი. ხოლო გსკ-ს პრეზიდენტი ჰანს ჰანზენი მას დიდ მიზნებს უსახავს: „რაიტერის კომისია ყველაფერზე მაღლა უნდა დადგეს!“ ცხადია, ასეა. მაგრამ, ჩემი აზრით, მეტად საეჭვოა შვიდკაციანმა კომისიამ ივნისამდე დაგეგმილი ათი სხდომის მანძილზე მოახერხოს სერიოზული დასკვნების გაკეთება და მათ საფუძველზე ყოვლისმომცველი სურათის შექმნა.

თანაც, ამის გარდა კომისიას ევალება წარმოადგინოს პროექტი, რომელიც შესაძლებელს გახდის სპორტს სამუდამოდ ჩამოაშოროს დოპინგი, ხოლო ის თუ რამდენად ეფექტურად განხორციელდება ეს პროექტი, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ცალკეული კავშირებისა და ფედერაციების კეთილ ნებაზე — გერმანიაში ხომ ყოველი მათგანი სრულიად დამოუკიდებელია. ასე, რომ თუ მათი სურვილიც არ იქნა, პროექტი პროექტადვე დარჩება. მაგრამ ვილი დაუმე ოპტიმისტურად აცხადებს: „ფედერაციები გვერდს ვერ აუვლიან კომისიის რეკომენდაციებს თუნდაც იმიტომ, რომ უარყოფითად არ გამოჩნდნენ საზოგადოებრიობის თვალში“. ჰანს ჰანზენს კი იმედი აქვს კომისიის წინადადებათა გაცნობის შემდეგ ფედერაციები შეიმუშავებენ სადოპინგო კონტროლის ჩატარებისა და მხილებულ სპორტსმენთა დისკვალიფიკაციის ერთიან კრიტერიუმს.

სხვა საკითხია რამდენად რეალისტურია ეს იმედი. დოპინგის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია დღეს გალიზიანებულ სკას მოგაგონებთ. თავად განსაჯეთ: გსკ-მ რაიტერის კომისიის გარდა კიდევ ორი სადოპინგო კომისია ჩამოაყალიბა. ხოლო მძლეოსნობის კავშირმა, როგორც დოპინგის ხმარებაში ყველაზე მძიმედ მხილებულმა ფედერაციამ, საკუთარი კომისია შექმნა. მძლეოსნებმა გადაწყვიტეს ორ კვირაში ერთხელ შეამოწმონ ეროვნული ნაკრების წევრები, სულ 821 კაცი. ეს გადაწყვეტილება დოპინგის ექსპერტთა შორის დაუფარავ ღიმილს იწვევს — ყველასთვის ცნობილია, რომ ორგანიზმში ანაბოლურ საშუალებათა კვალის გასაქრობად თანამედროვე პირობებში სულ ერთი ან ორი დღეც საკმარისია.

მძლეოსნობის ფედერაციის გადაწყვეტილებას გსკ-მ ალბათ სწორედ ამიტომ უწოდა „ყოვლად უაზრო“.

თუმცა, ჩემი აზრით, არც თავად ამ კავშირის მიერ ერთბაშად რამდენიმე კომისიის შექმნის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება იყო მაინცდამაინც აზრიანი. კავშირის ფიქრით, რაიტერის კომისიამ უფრო ზოგადი სურათის შესაქმნელად უნდა იმუშაოს. მეორე კომისიის ამოცანაა გამოააშკარაოს დოპინგის ხმარების ცალკეული შემთხვევები. სამწუხაროდ, ჩვენი სპორტი არ განიცდის ასეთ შემთხვევათა ნაკლებობას. სულ ახლახან, მაგალითად, ცნობილმა ბიატლონისტებმა, ყოფილი გდრ-ის წარმომადგენლებმა იენს შტაინიგენმა, უვე ბელმანმა და ჰოლგერ ბუროტმა მაშინდელი გდრ-ის ნაკრების ხელმძღვანელს, დღეს კი გაერთიანებული სათხილამურო კავშირის მწვრთნელს კურტ ჰინცეს ბრალად დასდეს, დოპინგის მიღებას გვაძალებდაო. ამ შემთხვევის გამოძიება სათხილამურო კავშირმა გსკ-ს სთხოვა. სხვათა შორის კურტ ჰინცე გერმანელ ბიატლონისტთა გუნდს დღესაც ხელმძღვანელობს ფინეთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე.

კიდევ ერთ კომისიას საწვრთნელ პროცესში სადოპინგო კონტროლის ჩატარება ევალება. მისი ჩამოყალიბება თვით სპორტსმენებმა მოითხოვეს. აქამდე მათ გსკ-ს იგივე ქვეგანაყოფი ამოწმებდა, რომელიც ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატების საკვალიფიკაციო ნორმატივებს ადგენდა. რა დასამალია, რომ ამ ნორმატივების დიდი ნაწილი მხოლოდ ანაბოლური საშუალებების გამოყენებით მიიღწევა. მართლაც აბსურდული სიტუაცია გახლავთ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე სუფევდა ჩვენს სპორტში.

ზემოთ არაერთხელ ნახსენები ფოლკერ გრაბო გადაჭრით მოითხოვს შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადოს გერმანულ სპორტში დოპინგის ხმარების ნებისმიერ გამოვლენას, მაგრამ მისი აზრით სხვა ქვეყნებიც ასევე უნდა მოიქცნენ. ამის ინიციატივა უნდა გამოიჩინონ საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციებმაც. ეს კი, გრაბოს აზრით, მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი თუ გერმანელთა ანტისადოპინგო კამპანია მართლაც წარმატებით დაგვირგვინდა და არ დაემსგავსა სპექტაკლს, რომლის დროსაც დანაშაულის მთელი სიმძიმე რამდენიმე განტევების ვაცს აწვება მხრებზე. გრაბო ამტკიცებს, რომ მადლობა ღმერთს, თვით სპორტსმენებსაც აღარ უკავიათ პოზიცია, რომლის მიხედვითაც დოპინგის მიღება აუცილებელია, რადგან ყველა ასე იქცევა.

თავის მხრივ გსკ-მ ყველა ღონე უნდა იხმაროს რათა საერთაშორისო ფედერაციებში, თავისი წარმომადგენლების დახმარებით მკაფიო და ერთიანი ანტისადოპინგო სისტემის შექმნა იქადაგოს. ეს, უპირველეს ყოვლისა, კონტროლსა და მხილებულ სპორტსმენთა დისკვალიფიკაციას ეხება. ფოლკერ გრაბოს იმედიც აქვს, რომ გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სოკ-ს მოთხოვს საერთაშორისო შეჯიბრებაზე მხოლოდ ის სპორტსმენი დაუშვას, რომლებიც თანხმობას განაცხადებენ ვარჯიშის დროსაც გაიარონ სადოპინგო შემოწმებები.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოს, რომ ცდა, სწორ გზაზე დააყენონ გერმანული სპორტი, გაათავისუფლონ იგი ბინძური ხრიკებისგან, ჯერჯერობით საკმაოდ ეფექტიანია. სხვა საკითხია, თავად სპორტსმენები მოინდომებენ თუ არა აკრძალულ ხერხებზე უარის თქმას. ვფიქრობ, დოპინგის პრობლემის დაძლევაში გარკვეული დადებითი როლი შეიძლება შეასრულოს იმანაც, რომ საფუძვლიანად გადაისინჯოს სპორტის ადგილი და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სანამ მესამის ქვემოთ ნებისმიერი ადგილის დაკავება მარცხად ითვლება, მუდამ დიდი იქნება აკრძალული საშუალებების დახმარებით კვარცხლბეკზე ფეხის შედგმის ცდუნება. მაგრამ განა აქვს რაიმე ფასი ასეთ გამარჯვებას?

ულრიჰ ლოკე,

საგენტო „დოიჩერ დეპეშენ დინსტის“ [illegible]



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯანი ბუნიო — „სუპერჩემპიონი“

იმ დროს, როცა პროფესიონალ ველოსიპედისტთა საერთაშორისო ფედერაციამ 1990 წლის შედეგები შეაჯამა, ჯანი ბუნიო მშობლიური იტალიიდან შორს იყო. უმძიმესი სეზონის შემდეგ სპორტსმენი ინდოეთის ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მალდივის კუნძულებზე ატარებდა საშობაო არდადეგებს. ჯანი იქ გაემგზავრა, რათა დროებით განრიდებოდა ქალაქის ხმაურსა და ტემპერამენტიან იტალიელ გულშემატკივრებს, დაესვენა, ძალა აღედგინა და მთელი ყურადღება ახლა მაინც დაეთმო თავისი ოჯახისთვის, განსაკუთრებით — პატარა ალესიოსთვის.

მსოფლიო თასის მფლობელმა და მრავალდღიან ველორბოლა „ჯირო დ' იტალიაში“ გამარჯვებულმა 26 წლის სპორტსმენმა სწორედ აქ, ოკეანის მყუდრო სანაპიროზე შეიტყო, რომ იგი შარშანდელი წლის შედეგების მიხედვით მსოფლიოს საუკეთესო ველომრბოლად დაასახელეს. თავად ჯანი თავშეკავებით შეხვდა ამ სასიამოვნო ცნობას, საზეიმო ოჯახურ ვახშამზე შამპანურის ბოთლიც კი არ დაუცლიათ. სამაგიეროდ იტალიელი გულშემატკივრები არ მალავდნენ აღტაცებას. ისინი ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ქუჩაში და ხმამაღლა გაჰყვიროდნენ, „ბუნიო! ბუნიო!...“

ჯანიმ მართლაც რომ დაიმსახურა ასეთი სიყვარული და ყურადღება. მან სავსებით გაუმართლა იმედი გულშემატკივრებს. ისინი ხომ მრავალი წლის მანძილზე ოცნებობდნენ „ახალი ვარსკვლავის“ გამოჩენაზე, რომელსაც მათივე თანამემამულის, სახელგანთქმული ფელიჩე ჯიმონდის ტრიუმფალური წარმატებები უნდა გაემეორებინა. ჯიმონდის სახელი 1965 წლამდე ქუხდა. მართალია, შემდეგ იყო ფრანჩესკო მოზერი, რომელმაც სპორტული სარბიელი სულ რაღაც სამი წლის წინათ დატოვა და რომელიც, საერთო აღიარებით, ცოტათი მაინც ჩამოუვარდებოდა თავის ცნობილ წინამორბედს.

ამიტომ 1985 წელს, როცა ჯანი ბუნიოს იტალიის საუკეთესო მოყვარული მრბოლის წოდება მიენიჭა, ველოსპორტის მოყვარულებმა მთელი იმედები მასზე დაამყარეს. ერთი წლის შემდეგ ბუნიო პროფესიონალებში გადავიდა და დაიწყო კიდეც მისი აღზევება.

სპორტის მიმომხილველთა აზრით, პროფესიულ ველოსპორტში „ბუნიოს ერა“ დაიწყო. იმასაც დავძენთ, რომ ამ 26 წლის მრბოლს ველოსპორტში „პიკისთვის“ ჯერ არ მიუღწევია.

— ბუნიოს, შეიძლება ითქვას, რაიმე შესამჩნევი ნაკლი არცა აქვს, — ამბობს ფრანჩესკო მოზერი. — იგი ჩვენს მძიმე სამუშაოს დიდი სერიოზულობით ეკიდება, როგორც ჭეშმარიტ პროფესიონალს შეშვენის. ჯანი იმარჯვებს, რადგან მთელ მარაგს თავისი ძალებისას რბოლაში აქსოვს. საოცრად ნათელი გონება აქვს. შეუძლია რბოლის დროს ელვის უსწრაფესად გააანალიზოს მთელი სიტუაცია და ამის მიხედვით იმოქმედოს.

ბოლო წლებში ჯანი ბუნიო ვარჯიშობს პროფესიონალთა კლუბში, რომელსაც სათავეში უდგას 1977 წლის მსოფლიო ჩემპიონი მოყვარულთა შორის კლაუდიო კონტი. და აი, ეს ცნობილი სპეციალისტი ამბობს, რომ ბუნიოს მთელი თავისი ნიჭი და უნარი ჯერაც არ გამოუვლენია.

— ჯანის შესაძლებლობები მართლაც ამოუწურავია. მასში იდეალურად ერწყმის ერთმანეთს ძალისმიერი თვისებები და სისწრაფე. რბოლის დროს უშიშარია და, ამავე დროს, ფხიზელი განსჯის უნარს არ კარგავს. იგი დაჯილდოებულია პოზიციის იშვიათი გრძნობით, რაც საშუალებას აძლევს, ზუსტად გამოიცნოს მეტოქის მანევრი, დაასწროს მათს მოქმედებას. დარწმუნებული ვარ, უკვე გაისად ველოსპორტის სამყარო ილაპარაკებს იტალიელ „სუპერჩემპიონზე“.

თვითონ სპორტსმენი არ მალავს, რომ კმაყოფილია გასულ სეზონში თავისი შედეგებით.

— ეს სეზონი ჩემთვის იღბლიანი გამოდგა. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ არ დავცემულვარ და ტრავმებს გადავურჩი. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საქმისთვის. მართალია, სეზონის მიწურულს უკვე ვიგრძენი დაღლილობა, მაგრამ ეს არ მიკვირს — ადრე ხომ ასეთი ძლიერი ფიზიკური და მორალური დაძაბულობა არასოდეს გადამიტანია. მალდივის კუნძულებზე დასვენების შემდეგ მთლიანად აღვიდგინე ძალა, ჯანმრთელობა გავიკაჟე. ვეცდები, შარშანდელი შედეგები წლეულსაც გავიმეორო.

ნინო კასრაძე

## ისევ... ბონჟურ, მსიე ტაპი

### კიდევ ერთხელ მარსელის „ოლიმპიკის“ პრეზიდენტზე

მარსელის „ოლიმპიკის“ პრეზიდენტის, მილიონერ ბერნარ ტაპის დისკვალიფიკაცია და აქედან გამომდინარე მისი გადადგომა დაკავებული პოსტიდან, რის შესახებ „სარბიელიც“ იუწყებოდა, ფარსი გამოდგა. საქმე ისაა, რომ ტაპის, თურმე, მხოლოდ საფეხბურთო ლიგის სხდომებში მონაწილეობისა და ფედერაციის ოფიციალურ ტერიტორიაზე შესვლის უფლება ერთმევა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტაპი ლიგის სხდომებში ისედაც არ მონაწილეობდა, ხოლო კლუბის გასახდელი კერძო ტერიტორიად ითვლება, გამოდის, რომ [illegible] გააგრძელებს თავის საქმიანობას.





თბილისელი გიორგი ჩოგოვაძის შესახებ არაერთხელ დამიწერია. მეგონა, წყალში ხტომაში მისი ყველა წარმატება ზეპირად მახსოვს-მეთქი, მაგრამ როცა გიორგის შინ ვეწვიე და მისი ჯილდოები დავათვალიერე, თვალები ამიჭრელდა. სხვათა შორის, მედლები, ბევრი სპორტსმენის მსგავსად, საგამოფენო ექსპონატებივით გამომზეურებული კი არ ჰქონდა, არამედ სადღაც კარებს უკან, კუთხეში, ლურსმნებზე ჩირივით ჩამოეკონწიალებინა. ამ მედლებს გვერდს გიორგის მეუღლის, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონის, ასევე წყალში მხტომელ დიანა მჭედლიძის მედლების ასხმა უმშვენებდა. ამ ჯილდოებში·გიორგის ბოლო მედალს ვეძებ, იმას, ახლახანს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილისთვის რომ დაიმსახურა. ის კი „მამშვიდებს“ — ეგ „ბრინჯაო“ იურამ წაიღო, მითხრა, კედელზე დავკიდებ, ცოტა ხანს მინდა ვუყუროო.

„იურა“ ჩოგოვაძის მწვრთნელია — იური ბუტიაკულოვი, თავისი საქმის ნამდვილი პროფესორი. საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელიც ის გახლავთ. ჩოგოვაძის „ბრინჯაოს“ მედალი ერთგვარად ბუტიაკულოვსაც ეკუთვნის: წლები რომ გავა, გაიხსენებენ, ეს არის პირველი მედალი, რომელიც საქართველოს წყალში მხტომელმა მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვაო.

საუბარი სწორედ მსოფლიო ჩემპიონატით დავიწყეთ.

# ჩემპიონი — შინ და გარეთ

— ვფიქრობდი, თუ ამ ჩემპიონატზე მედალს ვერ მოვიპოვებ, წყალში ხტომას თავს დავანებებ-მეთქი, — მიამბობს გიორგი. — ბოლო ხანს დიდ შეჯიბრებებზე რაღაც უიღბლობა დამჩემდა: სეულის ოლიმპიურ თამაშებზე დაშავებული ვიყავი და მეოთხე ადგილზე დავრჩი. ვენაში, ევროპის თასის გათამაშებაზე, მესამე ვიყავი, მაგრამ არც მეტოქეები მყავდა მაინცდამაინც ძლიერი. ამიტომ ის მესამე ადგილი დიდ რამედ არ მიმაჩნია. ჰო, სიეტლი, კეთილი ნების თამაშები. სულ ვლიდერობდი, ოქროს მედალი თითქოს უკვე ჯიბეში მედო და ამ დროს ბოლო ნახტომი სამარცხვინოდ ჩავაფლავე. რა ჭირი მეტაკა, ახლაც არ ვიცი. მეოთხე ადგილზე გადავვარდი. ლამის ხელი ჩავიქნიე, მაგრამ ჩემ თავს ერთი შანსი მაინც დავუტოვე — მსოფლიო ჩემპიონატი. ამ ბრინჯაოს მედალმა ძალიან გამახარა და ფრთები შემასხა.

**— ვავიგე, ტრამვირებული გამოდიოდი.**

— გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწევაო. ვფიქრობდი, თუ მედალს ვერ მოვიპოვებ, მორჩა, გათავდა, უნდა წავიდე-მეთქი. და ამ დროს, ჩემპიონატის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე, მუცლის კუნთი გამიწყდა. საუკუნეს მიტანებულივით მოკაკული დავდიოდი. მოთელვის მერე ნემსები გამიკეთეს. ამან ლამის მთლად დამღუპა — ჰაერში ორიენტაციას ვკარგავდი. გაჭირვებით დავიკავე მეცხრე ადგილი. ფინალში მაინც გავედი და ნემსები ახლა მოთელვამდე გამიკეთეს. მე ვფიქრობ, წინასწარი შეჯიბრებისთვის ის ნემსები რომ მოთელვამდე გაეკეთებინათ, უკეთესი შედეგი მექნებოდა და საბოლოოდ ვერცხლის მედალსაც მოვიპოვებდი.

**— შენ მხოლოდ ჩინელებმა გაჯობეს. საერთოდ, ბოლო წლებში ჩინელი წყალში მხტომელები ისე დაწინაურდნენ, ყველას ალაცებენ, როგორ ფიქრობ, რითი აიხსნება ეს?**

— უწინარეს ყოვლისა შრომისმოყვარეობით. ახლა, პირობებს აღარ იკითხავ? მე ვიყავი ჩინეთში და გაკვირვებული დავრჩი. აუზებს თავი რომ დავანებოთ, მარტო დარბაზში თხუთმეტი ახალთახალი ტრამპლინი აქვთ, ჩვენ კი, თბილისში — ერთადერთი. საკავშირო ნაკრებისათვის, მოსკოვში, მხოლოდ ორი ტრამპლინი აქვთ. ისინიც მოძველებულია. ჩინელ წყალში მხტომელებს მათი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემია შეფობს. სპეციალური კომპიუტერული ცენტრი შექმნეს. თითოეული წყალში მხტომელის მონაცემს აანალიზებენ, იმ კომპიუტერისგან რეკომენდაციებს იღებენ. ჩვენ ეს ყველაფერი, ალბათ, არც დაგვესიზმრება.

**— საბჭოთა წყალში მხტომელების ნაკრებმა ავსტრალიაში ორი ვერ-ცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ეს წარმატებაა?**

— რა თქმა უნდა! წინა მსოფლიო ჩემპიონატზე ერთადერთი მესამე ადგილი მოვიპოვეთ, ოლიმპიურ თამაშებზე საერთოდ უმედლოდ დავრჩით. ასე რომ...

**— საბჭოთა ნაკრების წარმატება დოპინგის „დამსახურება“ ხომ არ იყო?**

— მოცურავეებსა და წყალბურთელებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ წყალში მხტომელი გიჟი უნდა იყოს, რომ დოპინგს მიმართოს. წყალში მხტომელებს ეს, უბრალოდ, არ გვჭირდება. ეგეც არ იყოს, სტიმულატორები ჩვენთვის ძალზე სახიფათოა — კაცს კოორდინაციას აკარგვინებს...

**— საბჭოთა ნაკრების წევრები — სპორტსმენები და მწვრთნელები — როგორ გიყურებენ მას შემდეგ, რაც საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაძლიერდა?**

— კარგად, როგორ უნდა მიყურებდნენ. ჩვენი ეროვნული მოძრაობა მათ ძალიან მოსწონთ. ამბობენ, რა კარგად იქცევით ქართველები, ამ დამყაყებული კავშირიდან გაქცევას რომ ცდილობთო. გორბაჩოვზე ხომ მთლად გადარეულები არიან. გადაირევიან, აბა რა იქნება — გინდა თუ არა, კავშირი უნდა განვამტკიცოთო. ლამის მთელი ქვეყანა პრეზიდენტს აკრიტიკებს, რაღას არ ეძახიან, რაში არ ადანაშაულებენ... სხვა მის ადგილზე — ნორმალურ სახელმწიფოში — დიდი ხანია გადადგებოდა, ეს კი თავის სკამს ებღაუჭება. სიტყვით დემოკრატიას გაიძახის, საქმით... უდანაშაულო ხალხს ხოცავს თბილისში, ბაქოში, ვილნიუსში, რიგაში... თან ამბობს, მე არაფერი ვიცოდიო.

**— კი მაგრამ, ის რა იყო, ერევანში ერთი ვორონეჟელი, ნაკრების წევრი, ლამის რომ შემოგაკვდა?**

— აბა, რა უნდა მექნა. ნასვამი იყო. ცოტა შევლაპარაკდით. ადგა და მეუბნება, ქართველი ხარ და ამიტომ ადამიანი არა ხარო. ვიფიქრე, ხომ არ მომესმა-მეთქი. ისევ გამიმეორა და მეც გადავირიე. მუშტით ყბა ჩავუმტვრიე, თანაც სამგან. საავადმყოფოში გააქანეს. კარგა ხანს იწვა.

**— მერე, როგორ გადაურჩი ამ ამბავს?**

— ნაკრების უფროსი მწვრთნელი მოვიდა და მეუბნება, შენ მართალი ხარ, ყველა შენ გამართლებს, მაგრამ კაცი საავადმყოფოშია, თანაც ასეთ დღეში. ორივენი ნაკრების წევრები ხართ, რაღაც ზომების მიღებაა აუცილებელი. რას იტყვი, ექვსი თვით დისკვალიფიკაცია რომ მოგცეთ და სტიპენდიაც ას მანეთამდე შეგიმციროთო? აბა რა მეთქმოდა. რომ ეჩივლა, ალბათ ჩამაყუდებდნენ კიდეც. სხვათა შორის, ის ვორონეჟელი მერე ჩემთან მოვიდა, მითხრა, მართალი იყავიო. იმ სიტყვებისთვის ბოდიშიც მომიხადა და ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

**— ამბობ ნასვამი იყოო. სასმელს ჩუმ-ჩუმად შენც ხომ არ ეპარები?**

— რატომ ჩუმ-ჩუმად. დასამალი არაფერი მაქვს. ასკეტი ხომ არა ვარ? როცა საჭიროა, ვთქვათ, დაბადების დღეზე, ორ-სამ ჭიქა ღვინოს ვსვამ, სხვა სასმელის გაგონებაც არ მინდა.

**— მერე, ხშირია ასეთი დაბადების დღეები?**

— არა, შეჯიბრების წინა დღეებში ვერიდები.

**— ორ-სამ ჭიქას ორ-სამ სიგარეტსაც ხომ არ აყოლებ?**

— არა, მწეველი ნამდვილად არა ვარ, ათასში ერთხელ თუ გავეთამაშები, ეს არ ითვლება.

**— პირველად როდის გაეთამაშე?**

— ალბათ არ დამიჯერებ, მაგრამ მაშინ... ნულ კლასში ვიყავი. მამა გარდამეცვალა. მწეველი იყო და შინ, უჯრაში, ერთი კოლოფი სიგარეტი აღმოვაჩინე. არ ვიცი, იმ სიგარეტს დედა სახსოვრად ინახავდა თუ რა იყო. ავიღე და ქუჩაში გავაბოლე. უნდა გენახა, რა სასაცილოდ დავაბიჯებდი. აბა, მაშინ, ლაბს, რა ჭკუა მომეკითხებოდა?

**— მაშინ ჭკუა არ მოგეკითხებოდაო, ერევანში ლამის დასაჭერად გაიხადე საქმე. დნეპროპეტროვსკში საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებზეც ერთი წლით დისკვალიფიკაცია მოგცეს. ბევრი ხომ არ არის?**

— დნეპროპეტროვსკში შეჯიბრების ბოლო დღეს ექვსეულშიც რომ მოვხვედრილიყავი, საქართველოს ნაკრები მეშვიდე ადგილის ნაცვლად მეექვსეზე გავიდოდა. ხელი ვიტკინე და ძალიან მაწუხებდა. ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე — ფინალში არ გამოვალ-მეთქი, მწვრთნელები კი მიმტკიცებდნენ, საქართველოს ინტერესებისთვის ასპარეზობა უნდა გააგრძელოო. ცამეტი წლის ბიჭს ბევრი არაფერი გამეგებოდა და ჩემი გავიტანე. და აი, ერთი წლით დისკვალიფიკაციაც მომცეს. ძალიან კარგად ქნეს. იმ სასჯელმა დამაფიქრა და ბევრ რამეს სხვაგვარად შევხედე. კაცმა სამშობლოს ღირსება უნდა დაიცვა. იმ დისკვალიფიკაციის მერე სულ ამას ვცდილობ. მართალია ხელში ავტომატი არ მიჭირავს, მაგრამ, ვფიქრობ, სამშობლოსათვის მეც რაღაცას ვაკეთებ. ისე, თუ საჭირო გახდა, იარაღს მეც ავიღებ ხელში.

**— ახლა საქართველოს საზოგადოებრიობის ნაწილი ფიქრობს, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა საბჭოთა ნაკრებთან კონტაქტები უნდა გაწყვიტონ და საკავშირო ჩემპიონატებზე უარი თქვან. შენ რას იტყვი?**

— ჩემი აზრით, ეს ნაადრევია. საქართველო ჯერ პოლიტიკურად უნდა განთავისუფლდეს, თორემ ისე საერთაშორისო ფედერაციებში არ გაგვაწევრიანებენ. წყალში მხტომელებმა საკავშირო ჩემპიონატებზე რომ უარი ვთქვათ, ვილას შევეჯიბროთ? საქართველოში რაც წყალში მხტომელია, ყველა თბილისელია. თითოეულ სახეობაში ორიოდე სპორტსმენი თუ გამოვდივართ. ასეთ შეჯიბრებას რა აზრი ექნება ან ბავშვები უკონკურენციოდ როგორღა დაოსტატდებიან? მე, კი ბატონო, უარს ვიტყვი საკავშირო ჩემპიონატებზე, მით უმეტეს, უკვე რაღაცას მივაღწიე, მაგრამ ამ ბავშვებს რაღა ვუყოთ?

**— მართლაც ბევრს მიაღწიე: ხუთჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყავი, საკავშირო სპარტაკიადაზე და თასის გათამაშებაში გაიმარჯვე. ორჯერ ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი დაისაკუთრე, ევროპის თასიც მოიგე, მსოფლიო თასის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავე, ახლა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს ჯილდოც მოიპოვე. ეს წარმატებათა არასრული ნუსხაა. მათგან რომელს გამოარჩევდი? სად უფრო მძიმე ბრძოლები გადაგხდა?**

— რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატს გამოვარჩევდი. ყველაზე მძიმე ბრძოლა სწორედ იქ გადამხდა. ეს ჩემპიონატი ჩემთვის რუბიკონი იყო. თუ რატომ, ამაზე უკვე გითხარი. სხვათა შორის, ავსტრალიაში, რა დაგიმალო, ფულზეც ვნერვიულობდი, არც ფულს გადაგვიხდიდნენ. არადა, შვილსაც ჩაცმა უნდა, ცოლსაც, მეც. აქ ხომ მაღაზიებიდან ყველაფერი გაქრა, კომერციულ მაღაზიებში კი, მოგეხსენება, ფული ტომრებით უნდა მიიტანო.

**— ბევრი ფიქრობს, დიდი სპორტსმენები ფულში ბანაობენო.**

— სისულელეა! მე ხელფასად 300 მანეთი მაქვს.

**— მაგრამ ყოველი საპრიზო ადგილისთვისაც ხომ გიხდიან? მსოფლიო ჩემპიონატზე რამდენი აიღე?**

— ავსტრალიაში საპრიზო ფონდი არ ყოფილა. საკავშირო სპორტსახკომმა იქ ადგილზე 530 ავსტრალიური დოლარი მომცა, დანარჩენს — 2500 მანეთს — მოსკოვში მიიღებო. ჯერ არაფერი მიმიღია, მაგრამ მომცემენ, აბა რა იქნება.

**— მერედა, ეს ყველაფერი ცოტაა?**

— არა, მაგრამ, დიდი შეჯიბრებები ყოველთვიურად ხომ არ იმართება და ყოველთვის წარმატებას ხომ ვერ მიაღწევ. ეგეც არ იყოს, ეს თანხა არც ისე დიდია. უცხოელებს გაცილებით მეტს უხდიან. მაგალითად, ჰოლანდიელ ედვინ იონგიანს ველაპარაკე, — ერთმეტრიან ტრამპლინზე რომ გაიმარჯვო, არც მას, არც სხვებს სპორტის სამინისტრო არაფერს აძლევს, სამაგიეროდ, სხვადასხვა ფირმების რეკლამისთვის გვარიან ფულს იღებენ. ედვინმა არ იცოდა, „ოქროსთვის“ რამდენს გადაუხდიდა „ფილიპსი“, მაგრამ დაიმედებული იყო, რომ იმ ჰონორარით ამსტერდამში სახლს იყიდდა.

**— რაც ცოლი შეირთე, საზრუნავი მოგემატა?**

— რა თქმა უნდა! ბავშვი ხან ღამით არ გაძინებს, ხან დღისით არ გასვენებს. ახლა კიდევ ბაზარში სირბილი — აბა, იქ ცოლს ხომ ვერ გავუშვებ. ერთი ორჯერ წავიდა და თავზედი აწყევლინეს. ზოგიერთი თბილისელი ბიჭის ამბავი ხომ იცი — აედევნენ და „ეე, დეეუშკა!..“ ჰოო... სადილსაც ვამზადებ ხოლმე. აბა, დიანას ხომ უნდა მოვეხმარო. სხვათა შორის, გემრიელი კერძები გამომდის. აი, ნამცხვრების ცხობა კი ვერ ვისწავლე. ჩემთვის ახლა ყველაზე დიდი პრობლემა უმანქანობაა. ერთი კვირის წინ მე და იურა მანქანების ბაზარზე ვიყავით. „09“ ასი ათასი დააფასეს. გაგიჟდები კაცი. კიდევ კარგი, სპორტსახკომი მპირდება, მანქანას ჩვენ გაყიდვინებთო.

**— კი მაგრამ, თუ სადილსაც შენ ამზადებ, ბაზარშიც დარბიხარ, ვარჯიშობ კიდეც, დიანა რაღას აკეთებს, წყალში ხტომას ხომ თავი დაანება?**

— რას ჰქვია, რას აკეთებს. ბავშვს მოვლა არ უნდა!? აქეთ სარეცხი, იქით კიდევ ისაო... აბა, ქალს ოჯახში საქმეს რა გამოულევს. თანაც, დიანამ კარგა ხანია ვარჯიში განაახლა. ხვალ ზაპოროჟიეში, საკავშირო ჩემპიონატზე მივფრინავთ. მშობიარობის მერე ეს მისი პირველი ასპარეზობა იქნება.

**— ბავშვს ვიღას უტოვებთ?**

— სიდედრს. ძალიან გვეხმარება. მე კი, სამწუხაროდ, დედა ორი წლის წინათ გარდამეცვალა.

**— წყალში მხტომელი დედ-მამის შვილიც ალბათ წყალში მხტომელი დადგება.**

— ვნახოთ. ჯერ თერთმეტი თვისაა. მალე ცურვის სწავლას დავაწყებინებთ, მერე ხტომასაც. ბოლოს არჩევანი მასზე იქნება, ხომ გოგოა, მაგრამ თუ კრივი მოეწონა, არ დავუშლი.

**— ამასობაში ვარჯიშზე წასვლის დროც მოსულა. „სარბიელის“ რედაქციის სახელით შენც და დიანასაც ზაპოროჟიეში წარმატებას გისურვებთ.**

— გმადლობთ!

ესაუბრა
ავთანდილ გურასაშვილი.

სურათებზე: ასეთია ჩემპიონი შინ. ეს მედლები კი მისი „გარეთ“ მუშაობის მცირედი ნაწილია.

ავტორის ფოტოები.

## ტექნიკური შედეგები

### სათხილამურო სპორტი

მსოფლიო ჩემპიონატი. კავალეზე (იტალია). ვაჟები. 30 კმ. კლასიკური სტილით. 1. გუნდე სვანი (შვეცია) — 1:16.12,4; 2. ვლადიმერ სმირნოვი (სსრკ) — 1:16.17,3; 3. ვეგარდ ულვანგი (ნორვეგია) — 1:16.32,8. 15 კმ თავისუფალი სტილით. 1. ბიორნ დელი (ნორვეგია) — 36.57,2; 2. სვანი (შვეცია) — 37.05,6; 3. სმირნოვი (სსრკ) — 37.07,8. 10 კმ კლასიკური სტილით. 1. ტერი ლანგლი (ნორვეგია) — 25.56,0; 2. კრისტერ მაიბეკი — 25.59,7; 3. ტორგნი მოგრენი (ორივე — შვეცია) — 26.01,5. ქალები. 15 კმ კლასიკური სტილით. 1. ელენა ვიალბე (სსრკ) — 44.58,5; 2. ტრუდე დიუბენდალი (ნორვეგია) — 46.02,4; 3. სტეფანია ბელმონდო (იტალია) — 46.31,4. 10 კმ თავისუფალი სტილით. 1. ვიალბე — 27.25,9; 2. მარი-ჰელენ ვესტინი (შვეცია) — 28.59,4; 3. ტამარა ტიხონოვა (სსრკ) — 29.06,5.

90 მეტრიანი ტრამპლინი. 1. ფპეტეკი (იუგოსლავია) — 217,5; 2. რ.ოლიინიკი (ნორვეგია) — 216,3; 3. იავაისფლოგი (გერმანია) — 210,0.

სათხილამურო ორჭიდი. 1. ფლუნდბერგი (ნორვეგია); 2. კ.ზულცენბაჰერი (1.11,1-ით ჩამორჩა); 3. კოფნერი (ორივე — ავსტრია) — 1.11,8-ით ჩამორჩა.

გუნდური პირველობა. 1. ავსტრია (კლაუს ოფნერი, გიუნტერ ჩარი, კლაუს ზულცენბაჰერი); 2. საფრანგეთი (ფ.რიბელინი, კ.გირარი, ფ.გი) — ავსტრიელებს 1.16,4-ით ჩამორჩნენ; 3. იაპონია (რ.მიკატა, კ.კოდამა, მაბე) — 1.51,9.

რბოლა 5 კმ-ზე კლასიკური სტილით. 1. ტრუდე დიუბენდალი (ნორვეგია) — 14.04,2; 2. მარია-ლიისა კირვისნიემი (ფინეთი) — 14.09,9; 3. მანუელა დი ცენტა (იტალია) — 14.24,1.

### ციგურებით რბენა

მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ მრავალჭიდში, ჰერენვენი (ჰოლანდია). 1. იუჰან-ულაფ კოსი (ნორვეგია) — 157,396 (მსოფლიო რეკორდი); 2. რობერტო სიგელი (იტალია) — 160,126; 3. ბარტ ველდკამპი (ჰოლანდია) — 160,396.

### კალათბურთი

თასების მფლობელთა თასი. ვაჟები. VI ტური. „ა" ჯგუფი. „ოვარი" (პორტუგალია) — „დინამო" (მოსკოვი, სსრკ) — 68:78; „კნორი" (იტალია) — „შოლე" (საფრანგეთი) — 108:80; „დინამო", „შოლე", „კნორი" — 4-4 მოგება. ბურთების უკეთესი შეფარდების გამო ნახევარფინალში გავიდნენ „დინამო" და „შოლე". „ბ" ჯგუფი. „ჰაპოელი" (ისრაელი) — პაოკ-ი (საბერძნეთი) — 80:79; კაი (ესპანეთი) — „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — 134:113. ჯგუფში ჩასატარებელი დარჩა ერთი შეხვედრა, მაგრამ მის შედეგს რაიმე მნიშვნელობა არა აქვს. ნახევარფინალში გავიდნენ კაი და პაოკ-ი. ამ ეტაპზე კაი შეხვდება „შოლეს", პაოკ-ი — „დინამოს". უკვე გაიმართა პირველი ნახევარფინალური შეხვედრები. პაოკ — „დინამო" 95:82. კაი — „შოლე" 105:95.

### ხელბურთი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. ლენინგრადი. „ქარიშხალი" (თბილისი) — „დინამო" (ასტრახანი) 22:31; „ქარიშხალი" — ზიი (ზაპოროჟიე) 22:28; „ქარიშხალი" — ცსკა 18:25; „ქარიშხალი" — „კუნცევო" (მოსკოვი) 22:19; „ქარიშხალი" — „ნევა" (ლენინგრადი) 19:31.

### მძლეოსნობა

ოსაკა. საერთაშორისო ტურნირი. 60 მ. 1. ბენ ჯონსონი (კანადა) — 6,64; 2. ანდრეს სიმონი (კუბა) — 6,64. სიმაღლე. ხავიერ სოტომაიორი (კუბა) — 234 სმ. სამხტომი. კენი ჰარისონი (აშშ) — 17,40 მ. ქალები. 60 მ. 1. ეველინ ეშფორდი (აშშ) — 7,22; 2. ნელი კუმანი (ჰოლანდია) — 7,25.

ტოკიო. ტრადიციული მარათონი. 1. აბებე მეკონენი (ეთიოპია) — 2:10.26; 2. ტორუ კოზარუ (იაპონია) — 2:10,26 (გამარჯვებული ფოტოფინიშმა (!) გამოავლინა); 3. მაურილიო კასტილიო (მექსიკა) — 2:10.47.

შტუტგარტი. საერთაშორისო ტურნირი. ვაჟები. 60 მ. ლეროი ბარელი (აშშ) — 6,57 (სეზონის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში). სიგრძე. დიტმარ ჰაფი (გერმანია) — 820 სმ. 200 მ. ლინფორდ კრისტი (დიდი ბრიტანეთი) — 20,92. 400 მ. დენი ევერეტი — 45,40. 800 მ. ჯონი გრეი (ორივე — აშშ) — 1.45,40. 1500 მ. მიქაელ ბუში (გერმანია) — 3.39,80. ქალები. 60 მ. მიშელ ფინი (აშშ) — 7,23. 200 მ. მარლინ ოტი (იამაიკა) — 22,70. 800 მ. ზიგრუნ ვოდარსი (გერმანია) — 2.01,40; სიგრძე. კეროლ ლუისი (აშშ) — 667 სმ. 5 კმ. უტე პიპიგი (გერმანია) — 15.17,28 (მსოფლიო მიღწევა).

ბორდო. საერთაშორისო ტურნირი. ქალები. სიგრძეზე ხტომა. ჰაიკე დრექსლერი — 694 სმ (სეზონის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში). 60 მ. კატრინ კნაბე (ორივე — გერმანია) — 7,15. 60 მ თარჯრბენი. მონიკ ევანჯ-ები (საფრანგეთი) — 7,98. ვაჟები. ჭოკ. ტიერი ვინერონი (საფრანგეთი) — 560 სმ.

ისტ-რუტერფორდი. საერთაშორისო ტურნირი. მილი (1609 მ). ნურედინ მორსელი (ალჟირი) — 3.50,81. სიმაღლე. ჰოლის კონვეი (აშშ) — 233 სმ. ჭოკი. იშტვან ბადიული (უნგრეთი) — 580 სმ.

### ფრისტაილი

მსოფლიო ჩემპიონატი. ლეიკ-პლესიდი. სათხილამურო ბალეტი. ქალები. 1. ელენ ბრიონი — 28,10; 2. ჯეინ ბუშერი (ორივე — აშშ) — 27,70; 3. კ.ფეჰოსი (საფრანგეთი) — 25,50. ვაჟები. 1. ლეინ სპინა (აშშ) — 30,15; 2. რ.ფრანკი (საფრანგეთი) — 29,56; 3. დ.უოლკერი (კანადა) — 28,88.

### ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი. VI ჯგუფი. მდგომარეობა დღეისთვის.

| | | | |
|---|---|---|---|
| პორტუგალია | 4 | 4-3 | 5 |
| ჰოლანდია | 3 | 10-1 | 4 |
| საბერძნეთი | 3 | 7-4 | 4 |
| ფინეთი | 2 | 1-1 | 2 |
| მალტა | 4 | 1-13 | 1 |

ამხანაგური მატჩი. 14 თებერვალი. იტალია — ბელგია 0:0.

### ჭადრაკი

სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი. კიევი. ოთხი სახეობის შემდეგ. 1. ვახტანგ იგორაშვილი (საქართველო) — 4730 ქულა; 2. ი. ფელდმანი (ყირგიზეთი) — 4680; 3. ს. გერასიმოვიჩი (ბელორუსია) — 4656.

### ფარიკაობა

საერთაშორისო ტურნირი. ობრიჰეიმი (გერმანია). რაპირა. ქალები. 1. იტალია; 2. გერმანია; 3. სსრ კავშირი.

### სამთო თხილამურები

მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი. გარმიშ-პარტენკირხენი. გიგანტური სლალომი. 2070 მ. ქალები. 1. კაროლ მერლი (საფრანგეთი) — 1.26,14; 2. კარინ დედლერი — 1.26,67; 3. მიქაელა ჰერტი (ორივე — გერმანია) — 1.26,80.

საერთო ჩათვლა. 1. პეტრა კრონბერგერი (ავსტრია) — 276 ქულა; 2. კაროლ მერლი (საფრანგეთი) — 187; 3. შანტალ ბურნისენი (შვეიცარია) — 101.

### ველოსპორტი

ანდალუზიის ტური. უკანასკნელი, მე-6 ეტაპი. 126 კმ. 1. მელქიორ მაური (ესპანეთი); 2. იოჰან მიუზეუმი (ბელგია); 3. რემიგ შტუმპფი (გერმანია), სამივემ 2:49.27, აჩვენა.

საერთო ჩათვლა. 1. რობერტო ლესუნი (ესპანეთი) (24:21.51). მეორე და მესამე ადგილები იგივე შედეგით დაიკავეს დანიელმა ესპერ სკიბიმ და ჰოლანდიელმა ადრი ვან დერ პულმა.

საფრანგეთში დამთავრებულ ახევი პროფესიონალთა რბოლაში ბოლო ეტაპი მოიგო ბელგიელმა კარლო ბომანსმა, რომელმაც 123 კმ 3:4.25, დაფარა. საერთო ჩათვლა. 1. ადრი ვიინანდსი (ჰოლანდია) — 11:37.11, 2. შტეფან იოჰო (შვეიცარია), 3. ფრანკ მაასენი (ჰოლანდია). სამივემ დისტანციაზე ერთი და იგივე დრო აჩვენა.

---

1936 (გაზაფხული) „ა" ჯგუფი. 22.5 — 17.7

# დასრულებული ქრონიკა

## სსრ კავშირის I ჩემპიონატი

რუბრიკას უძღვება აკაკი თბილელი

მატჩების რაოდენობა — 21; გოლების რაოდენობა — 85 (საშუალოდ 4,05 ბურთი ერთ მატჩში). ჩემპიონატში მონაწილეობდა 116 ფეხბურთელი. ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატების სათვალავი 1936 წლიდან იწყება, თუმცა ეს შეჯიბრებები მანამდეც ტარდებოდა. საკითხავი ისაა, როდის დაიწყო საკავშირო პირველობები და რამდენი ჩატარდა? ბოლო დრომდე ამ საკითხზე ერთი აზრი არ არსებობდა. მაგალითად, ი. კლუეინსკი, „ფეხბურთის მოყვარულის ლექსიკონის" ავტორი, ამტკიცებს, რომ ჩემპიონატები დაიწყო 1923 წლიდან და სულ ჩატარდა ექვსი შეჯიბრება. ცნობარში „ყველაფერი ფეხბურთის შესახებ" (1972 წლის გამოცემა) ვკითხულობთ, რომ ჩატარდა შვიდი ტურნირი და პირველი შეჯიბრება 1922 წელს გაიმართა. მაგრამ ეს აშკარა უზუსტობაა, რადგან იურიდიულად სსრ კავშირი მხოლოდ 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა. საკითხს ნათელი მოეფინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელმისაწვდომი გახდა ბოლო დრომდე რატომღაც საიდუმლოდ მიჩნეული საარქივო დოკუმენტები. 1922 და 1923 წლებში ჩატარდა რსფსრ-ის ჩემპიონატები, თუმცა ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს უკრაინისა და ამიერკავკასიის გუნდებმა. სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატი მოეწყო 1924 წელს და ჩატარდა სულ ხუთი პირველობა (1924, 1928, 1931, 1932, 1935 წწ.). პირველ სამ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ რესპუბლიკებისა და ქალაქების, ორ უკანასკნელში — მხოლოდ ქალაქების გუნდები. საკავშირო ჩემპიონატების ჩატარება საზოგადოებათა და უწყებათა საკლუბო გუნდებისთვის სტაბილურად დაიწყო მხოლოდ 1936 წლიდან. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სიტყვა „სტაბილური" აქ არც გამოდგება, რადგან, მომიტევეთ კალამბურისთვის, ერთადერთი, რაც ამ ჩემპიონატებში სტაბილურად შეიძლებოდა ჩაგეთვალათ, არასტაბილურობა იყო. გუნდების რიცხვი გამუდმებით იცვლებოდა (7-დან 26-მდე). იყო შემთხვევები, როცა ასპარეზობას იწყებდა მონაწილეთა სხვა რაოდენობა და ამთავრებდა სხვა. იცვლებოდა თვით ასპარეზობის ხანგრძლივობაც — 57-დან 282 დღემდე. იყო ტურნირები ერთწრიანი და ორწრიანი, ერთსაფეხურიანი და მრავალსაფეხურიანი. იცვლებოდა ქულების დარიცხვის სისტემა. მაგალითად, სხვადასხვა წლებში ფრედ დამთავრებული შეხვედრისთვის შეიძლებოდა მიგეღო 2 ქულა, 1 ქულა ან არც ერთი. დღევანდელ უმაღლეს ლიგას სხვადასხვა წლებში ერქვა „ა" ჯგუფი, „ა" კლასი, I ჯგუფი, „ა" კლასის პირველი ქვეჯგუფი, „ა" კლასის უმაღლესი ჯგუფი, „ა" კლასის უმაღლესი ლიგა.

1936 წელს ერთბაშად ორი ჩემპიონატი ჩატარდა — გაზაფხულზე და შემოდგომაზე. გაზაფხულზე საასპარეზოდ სამი ქალაქის შვიდი გუნდი დაუშვეს. ცოტა უცნაური გადაწყვეტილებაა. ბევრად უფრო სამართლიანი იქნებოდა „ა" ჯგუფის ფორმირება 1935 წლის ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, როცა გუნდები ცხრილში ამგვარი თანმიმდევრობით განწილდნენ: 1. მოსკოვი, 2. ლენინგრადი, 3. ხარკოვი, 4 კიევი, 5. ბაქო, 6. თბილისი. ალბათ ყოველ ქალაქს უნდა ჰქონოდა ტურნირზე თითო კლუბის გაგზავნის უფლება, ხოლო მოსკოვს, როგორც გამარჯვებულს, შეიძლებოდა ორი კლუბიც გამოეყვანა. გაუგებარია, რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდნენ ჩემპიონატის ორგანიზატორები, როცა მოსკოვს ოთხი ადგილი მისცეს, ხოლო ლენინგრადს — ორი? როგორ მოხდა, რომ III ადგილზე გასული ხარკოველები „ბ" ჯგუფში გადაიყვანეს, კიეველები კი, რომლებმაც სატურნირო ცხრილში ხარკოვის გუნდის შემდეგ დაიკავეს ადგილი, უცებ „ა" ჯგუფში აღმოჩნდნენ? ბაქოს გუნდს კი სულაც „გ" ჯგუფში უკრეს თავი. ეს მხოლოდ თვითნებობით შეიძლება აიხსნას საერთოდ, რომ არა კიევის „დინამოს" მონაწილეობა, ამ ტურნირს არათუ სსრ კავშირის, რუსეთის ფედერაციის ჩემპიონატსაც ვერ უწოდებთ. ეს უფრო ორი ქალაქის — მოსკოვისა და პეტერბურგის ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ტრადიციულ შეხვედრებს ჰგავდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ამჯერად შეჯიბრება კლუბების დონეზე ტარდებოდა. თუმცა, ნუ დავიწყებთ ლოგიკის ძიებას არალოგიკურში. შემდეგში კიდევ ბევრჯერ წავაწყდებით ამგვარ შეუსაბამობებს და ალბათ პასუხგაუცემელი კითხვაც ბევრი იქნება. მიუხედავად ამისა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დროთა განმავლობაში ბევრი რამ გაირკვევა. ახლა ალბათ დადგა დრო, უშუალოდ ჩემპიონატზე გადავიდეთ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ძირითადი ამოცანა ხომ ამბების გადმოცემაა და არა მათი კომენტირება.

სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატი ერთ წრედ ჩატარდა, ქულების დარიცხვის სისტემა ამგვარი იყო: გამარჯვებისთვის გუნდს ეძლეოდა 3 ქულა, ფრედ დამთავრებული შეხვედრისთვის — 2, წაგებისთვის — 1. ჩემპიონატის სიუჟეტი საკმაოდ მარტივი გახლდათ, არავითარი დრამატული კოლიზიები არ ყოფილა. მოსკოვის „დინამომ" ექვსივე შეხვედრა მოიგო და თითქმის უბრძოლველად დაისაკუთრა სსრ კავშირის პირველი ჩემპიონის სახელი.

პირველ ჩემპიონატში, ცხადია, ბევრი რამ პირველად ხდებოდა: ფეხბურთისა და სტატისტიკის მოყვარულებისთვის ალბათ საინტერესო იქნება ასეთი ინფორმაცია.

ჩემპიონატის პირველი მატჩი 22 მაისს შედგა ლენინგრადში, სადაც ადგილობრივი დინამოელები მოსკოვის „ლოკომოტივს" შეხვდნენ. ჩემპიონატების პირველი გოლი გაიტანა „ლოკომოტივის" თავდამსხმელმა პ. ლავროვმა შეხვედრის მე-5 წუთზე. თუმცა, ამის შესახებ უკვე ბევრჯერ დაიწერა. ვინ გაუშვა ის პირველი გოლი? ეს იყო ლენინგრადელთა მეკარე ა. კუზმინსკი. ლავროვის გოლი ამავე დროს იყო სტუმრების პირველი გოლი მასპინძელთა კარში, მაგრამ 28 წუთის შემდეგ მასპინძლებმა (ა. ბარიშევი) სტუმრების კარი აიღეს. შეხვედრა მოიგეს ლენინგრადელებმა ანგარიშით 3:1. ასე დაამარცხეს პირველად მასპინძლებმა სტუმრები. ლენინგრადის „დინამო" იყო პირველი გუნდი, რომელმაც შეძლო მატჩის მოგება გაშვებული გოლის შემდეგ. პირველი მატჩის მსაჯი გახლდათ მოსკოველი არბიტრი ალექსანდრე ბოგდანოვი. მეორე დღეს, 23 მაისს, მოსკოვში ცდკა ლენინგრადის „კრასნაია ზარიას" ხვდებოდა. ამ მატჩში გავიდა პირველი ავტოგოლი: ბურთი თავის კარში შეაგდო ლენინგრადელთა მცველმა დ. კარევმა. ამავე შეხვედრაში დაინიშნა პირველი პენალტი და „თავი გამოიჩინა" „კრასნაია ზარიას" თავდამსხმელმა ნ. იარცევმა. ის არის პირველი ფეხბურთელი საკავშირო ჩემპიონატების მონაწილეთაგან, რომელმაც პენალტი ვერ გაიტანა (ბურთმა კარის გვერდით-ძელს ჩაუარა). პენალტით გოლი პირველმა გაიტანა არმიელმა კ. მალინინმა — „სპარტაკთან" შეხვედრაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ პირველი მეკარე, რომელმაც თერთმეტმეტრიანი დარტყმა მოიგერია, იყო ვ. გრანატკინი, („ლოკომოტივი"). ეს პენალტი დაარტყა პირველმა ვ. გრებერმა. 24 მაისს პირველი გამარჯვება მოიპოვა სტუმრად მოთამაშე გუნდმა: მოსკოვის დინამოელებმა დაამარცხეს კიეველი თანაკლუბელები ანგარიშით 5:1. პირველი შეხვედრა, რომელიც ფრედ დამთავრდა, იყო ლენინგრადში ადგილობრივ დინამოელებსა და ცდკა-ს შორის გამართული მატჩი — 1:1. უნდა ითქვას, რომ პირველი ჩემპიონატი განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა — სულ ორი ფრე 21 მატჩში. ორივე ეს მატჩი ლენინგრადში ჩატარდა და დამთავრდა ერთნაირი ანგარიშით — 1:1. მეორე შეხვედრაში („კრასნაია ზარია", — „სპარტაკი") მოხდა საკავშირო ჩემპიონატებისთვის უიშვიათესი შემთხვევა. ამ მატჩის ორივე გოლი გაიტანა „სპარტაკის" ნახევარმცველმა ს. ლეუცამ: ჯერ თამაშის 79-ე წუთზე თავის კარში, სამი წუთის შემდეგ კი — მეტოქის კარში. რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა მოსკოვის „დინამოს" და ცდკა-ს მატჩზე, რომელიც ბოლო ტურში მოეწყო. ჯერ ერთი, დინამოელმა თავდამსხმელმა მ. სემიჩასტნიმ ამ მატჩში საკავშირო ჩემპიონატების პირველი ჰეტ-ტრიკი შეასრულა; მეორეც, მოსკოვის „დინამომ", რომელმაც ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა, ქულათა შესაძლებელი რაოდენობის 100 პროცენტი მოაგროვა. ეს რეკორდი მას შემდეგ დღემდე არცერთ გუნდს არ გაუმეორებია და არცა მგონია ოდესმე რომელიმემ გაიმეოროს. მაგრამ ამ მატჩზე ყურადღება მხოლოდ ამიტომ არ შემიჩერებია. საქმე ისაა, რომ დინამოელებისთვის ამ შეხვედრის შედეგს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან პირველ ადგილს მათ ვეღარავინ შეეცილებოდა, არმიელებს კი გამარჯვება მესამე საპრიზო ადგილზე გასვლის შანსს აძლევდა. დღეს ასეთ შემთხვევებში (როცა ერთ გუნდს ქულები ჰაერივით სჭირდებოდა, მეორისთვის კი ანგარიშს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს) მატჩის შედეგი ასპროცენტიანი სიზუსტით შეგიძლია „გამოიცნო". რა მოხდა იმ შეხვედრაში? პირველი ტაიმის შემდეგ წინ არმიელები იყვნენ — 2:0, მაგრამ შესვენების შემდეგ დინამოელებმა მათ კარში ექვსი უპასუხო გოლი გაიტანეს და ცდკა-მ მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. ცხადია, შეიძლებოდა აღტაცება გამოგვეთქვა ფეხბურთელთა ნებისყოფისა და მეორე ტაიმში მათი მაღალი შედეგიანობის გამო (სხვათა შორის, ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ გუნდმა, რომელიც თავიდან ორი ბურთით აგებდა მატჩს, ბოლოს მაინც შეძლო გამარჯვების მოპოვება), მაგრამ მე ახლა იმდენად სპორტული მხარე არ მაინტერესებს, რამდენადაც ზნეობრივი.

ტურნირის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო მ. სემიჩასტნი — 6 ბურთი.

ჩემპიონატს, საბოლოო ანგარიშით, დაესწრო 471 ათასი კაცი (საშუალოდ 22,4 ათასი ერთ მატჩზე). დაბალი მაჩვენებელი არ არის, თუ მაშინდელი სტადიონების ტევადობას გავითვალისწინებთ. ყველაზე მეტი ინტერესი გამოიწვია მოსკოვის გუნდების — „დინამოსა" და „სპარტაკის" შეხვედრამ, რომელსაც თვალყურს ადევნებდა 60 ათასი კაცი.

ვიდრე ცხრილს შემოგთავაზებდეთ, გაგაცნობთ ჩემპიონთა შემადგენლობას: ე. ელისეევი — 6 მატჩი, ა. რიომინი — 6, მ. სემიჩასტნი — 6 (გაიტანა 6 ბურთი), ვ. პავლოვი — 6 (5), გ. სმირნოვი — 6 (5), ს. ილინი — 6 (4), ა. კვასნიკოვი — 5, ნ. კორჩებოკოვი — 5, ვ. ტეტერინი — 5, ა. ლაპშინი — 5, მ. იაკუშინი — 5 (1), პ. კოროტკოვი — 4, ე. ფოკინი — 2, ვ. ლებინინი — 1, ა. პონომარიოვი — 1.

გუნდის მწვრთნელი იყო კ. კვაშნინი.

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. „დინამო", მოსკოვი | 6 | 0 | 0 | 22:5 | 18 |
| 2. „დინამო", კიევი | 4 | 0 | 2 | 18:11 | 14 |
| 3. „სპარტაკი", მოსკოვი | 3 | 1 | 2 | 12:7 | 13 |
| 4. ცდკა | 2 | 1 | 3 | 13:13 | 11 |
| 5. „ლოკომოტივი", მოსკოვი | 2 | 0 | 4 | 7:11 | 10 |
| 6. „დინამო", ლენინგრადი | 1 | 1 | 4 | 5:12 | 9 |
| 7. „კრასნაია ზარია", ლენინგრადი | 1 | 1 | 4 | 8:21 | 9 |

რა შეიძლება ითქვას თბილისის „დინამოზე"? გუნდი „ბ" ჯგუფში გამოდიოდა და ისევე დამაჯერებლად თამაშობდა, როგორც „ა" ჯგუფში გამარჯვებული. თბილისელები პირველ ადგილზე გავიდნენ და შემდეგ ჩემპიონატში უძლიერესთა ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს. ქართველმა ფეხბურთელებმა ფრედ დაამთავრეს მხოლოდ ერთი მატჩი (მოსკოვის „სტალინეცთან" — 1:1), დანარჩენი შეხვედრები კი მოიგეს. მათ დაამარცხეს „ზის"-ი („ტორპედო", მოსკოვი) — 2:1, „სტალინეცი" (ლენინგრადი) — 3:1, „ხიმ"-ი („მეტალურგი", მოსკოვი) — 2:0, ლენინგრადის „სპარტაკი" — 6:1 და დნეპროპეტროვსკის „დინამო" — 5:0, ხარკოვის დინამოელებთან ორი ქულა ისე მიიღეს, მატჩი არ გაუმართავთ.

თბილისელთა გუნდში თამაშობდნენ: მეკარე ა. დოროხოვი — 6; მცველები: ე. ნიკოლაიშვილი — 6, შ. შავგულიძე — 6; ნახევარმცველები: ნ. ანიკინი — 6, ვ. ი. ბერძენიშვილი — 6 (1), გ. გაგუა — 6, ვ. გ. ბერძენიშვილი — 1; თავდამსხმელები: მ. ასლამაზოვი — 6 (4), მ. ბერძენიშვილი — 6 (4), ი. პანინი — 6 (1), ბ. პაიჭაძე — 5 (7), ლ. აბაშიძე — 1. მწვრთნელი — ჟ. ლიმბეკი.

## იტალია

მე-20 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცნენ „სამპდორია" და „ინტერი". „სამპდორიამ" სტუმრად მოუგო „ბოლონიას" — 3:0. გოლები გაიტანეს კატანეცმა, ვიალიმ და მიხაილიჩენკომ. საინტერესოა, რომ „სამპდორიამ" ბოლონიაში ბოლოს 27 წლის წინათ გაიმარჯვა.

„ინტერს" საკმაოდ გაუჭირდა „ტორინოს" დამარცხება — 1:0.

მატჩის ერთადერთი გოლი მე-8 წუთზე გავიდა — კლინსმანის მიერ დარტყმული ბურთი „ტორინოს" მცველს ბრუნოს მოხვდა და სტუმართა კარში აღმოჩნდა. ამის შემდეგ „ტორინოს" ჰქონდა გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა, მაგრამ „ინტერი" მეკარე ძენგამ გადაარჩინა.

„მილანმა" ფლორენციაში ფრედ (0:0) დაამთავრა თამაში „ფიორენტინასთან". „მილანი" მთელი თამაშის განმავლობაში უტევდა, მაგრამ მასპინძელთა დაცვას ვერაფერი მოუხერხა. „იუვენტუსმა" მოუგო „ჩეზენას" — 3:0.

გოლები გაიტანეს ფორტუნატომ, კაზირაგიმ, დე აგოსტინიმ. ფრედ (1:1) დამთავრდა შეხვედრა „კალიარისა" და „ატალანტას" შორის. სტუმართა თავდამსხმელის კანიჯას გოლს „კალიარიმ" მატეოლის გოლით უპასუხა.

„ნაპოლიმ" მოუგო „პარმას" — 4:2. ეს ქვეყნის ჩემპიონის პირველი გამარჯვებაა 16 დეკემბრის შემდეგ. ნეაპოლელთა მიერ გატანილი ოთხი გოლიდან სამი თერთმეტმეტრიანი დარტყმით გავიდა. ორი პენალტი მარადონამ გაიტანა, ერთი კარეკამ. კიდევ ერთი გოლი დე ნაპოლის ანგარიშზეა. სტუმართაგან ბურთები გაიტანეს ოზიომ და მინოტიმ.

„რომამ" ნელას მიერ გატანილი გოლის წყალობით სტუმრად დაამარცხა „ბარი" — 1:0. კიდევ ორი მატჩი ასეთი ანგარიშით დამთავრდა: „ლაციო" — „ლეჩე" 2:0, „ჯენოა" — „პიზა" 4:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ინტერი" | 18 | 10 | 5 | 3 | 36-21 | 25 |
| „იუვენტუსი" | 18 | 9 | 6 | 3 | 31-15 | 24 |
| „სამპდორია" | 18 | 9 | 6 | 3 | 26-14 | 24 |
| „მილანი" | 18 | 9 | 6 | 3 | 19-10 | 24 |
| „პარმა" | 18 | 8 | 6 | 4 | 20-17 | 22 |

## საფრანგეთი

26-ე ტურის მატჩები ძალზე ცუდ პირობებში ჩატარდა. თოვლისა და ყინვის გამო რამდენიმე თამაში გადაიდო კიდეც — „ბრესტი" — „ლიონი", „ნანსი" — „კაენი", „სოშო" — „ნიცა". ტურის ცენტრალური შეხვედრა პარიზში „პარკ დე პრენსის" სტადიონზე შედგა, სადაც „პარი სენჟერმენმა" უმასპინძლა „მარსელს". მატჩი, რომელსაც უამინდობის მიუხედავად 35 ათასი მაყურებელი დაესწრო, ძალზე საინტერესო გამოდგა. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება სტუმრებმა მოიპოვეს — 1:0. ეს გოლი „მარსელის" მცველმა ბაზილ ბოლიმ გაიტანა.

მეორე ადგილზე მყოფმა „მონაკომ" შინ დაამარცხა „მეცი" — 2:0. პირველი ბურთი 25 მეტრის მანძილიდან უძლიერესი დარტყმით ჟერალ პასიმ გაიტანა. მეორე გოლი ჟორკ ეფის ანგარიშზეა. „მონპელიემ" ფრეს (1:1) მიაღწია სტუმრად „ტულონთან". ამ მატჩში კვლავ გამოიჩინა თავი „მონპელიეს" საუკეთესო ბომბარდირმა ლორან ბლანკმა.

სხვა მატჩები: „რენი" — „ოსერი" 2:2, „ტულუზა" — „ბორდო" 0:0, „კანი" — „ნანტი" 2:1, „სენტ ეტიენი" — „ლილი" 0:0.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საფრანგეთის ნაკრები 20 თებერვალს ესპანელებს უმასპინძლებს. ჯერჯერობით საფრანგეთი ლიდერობს პირველ ჯგუფს, ხოლო ესპანელები მეორე ადგილზე იმყოფებიან. მწვრთნელმა მიშელ პლატინიმ ამ მატჩისათვის ნაკრების შემადგენლობაში „მარსელის" 6 ფეხბურთელი შეიყვანა. მათ შორისაა ერიკ კანტონა, რომელსაც ტრავმის გამო რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩის გამოტოვება მოუხდა. სამაგიეროდ, პლატინიმ ნაკრებში არ შეიყვანა ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორიცაა ფილიპ ვერკრუისი („მარსელი") და ჟან-მარკ ფერერი („ბორდო").

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მარსელი" | 26 | 17 | 4 | 5 | 51-20 | 38 |
| „მონაკო" | 26 | 12 | 9 | 5 | 31-21 | 33 |
| „ოსერი" | 26 | 11 | 9 | 6 | 38-26 | 31 |
| „მონპელიე" | 26 | 10 | 9 | 7 | 39-26 | 29 |
| „კანი" | 26 | 10 | 9 | 7 | 23-20 | 29 |

## საბერძნეთი

ერთი კვირის წინ უეფამ მკაცრი სასჯელი გამოუტანა პირეოსის „ოლიმპიაკოსს". საბერძნეთის გუნდს ერთი წლით აეკრძალა თამაში ევროპის საკლუბო ტურნირებზე.

შარშან, ოქტომბერში იტალიის „სამპდორიასთან" შეხვედრის დროს მაყურებლები განუწყვეტლივ ისროდნენ რაკეტებს და ხელს უშლიდნენ მატჩის ნორმალურად ჩატარებას. ამას გარდა, ტრიბუნიდან ნასროლი მონეტა მოხვდა „სამპდორიის" ფეხბურთელს ტონინიო სერეზოს.

როგორც ჩანს, „ოლიმპიაკოსის" გულშემატკივრებზე უეფას ამ გადაწყვეტილებამ არ იმოქმედა.

გასულ კვირას მათ კვლავ „გამოიჩინეს თავი", ამჯერად საბერძნეთის ჩემპიონატის მატჩის დროს, როდესაც „ოლიმპიაკოსი" „ათინაიკოსს" ხვდებოდა. მასპინძლებმა ორი გოლი გაიტანეს — პროტასოვმა (პენალტით) და ანასტოპულოსმა. შეხვედრის ბოლოს სტუმრებმა დიმოპულოსის ორი ბურთის წყალობით შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. „ათინაიკოსის" მეორე გოლის შემდეგ მაყურებლები გადაცვივდნენ მოედანზე და თავს დაესხნენ მსაჯს. პოლიციამ შეძლო მაყურებლის მოედნიდან უკან, ტრიბუნებზე დაბრუნება, თუმცა თამაშის დამთავრება შეუძლებელი გახდა. მაყურებლებმა ცეცხლი წაუკიდეს სკამებს, შემდეგ კი დაარბიეს სტადიონის ახლოს მდებარე მაღაზიები.

ლიდერმა „პანათინაიკოსმა" დაამარცხა „იონიკოსი" — 2:0. გოლები გაიტანეს სარავაკოსმა (პენალტით) და იორლაკოპულოსმა.

სხვა ანგარიშები: „დოქსა" — „ქსანთი" 1:0, „ირაკლისი" — „არისი" 1:0, „ლარისა" — პაოკ 1:1, აეკ — ოფი 3:1, „პანახაიკი" — „ლევადიაკოსი" 1:1, „პანიონიოსი" — „იანინა" 4:1, „პანსერაიკოსი" — „აპოლონი" 0:0.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია „პანათინაიკოსის" ფეხბურთელი სარავაკოსი — 15 გოლი. მეორე ადგილზეა ანასტოპულოსი („ოლიმპიაკოსი" — 9 გოლი).



| | | | |
|---|---|---|---|
| „პანათინაიკოსი" | 18 | 39-11 | 30 |
| „ოლიმპიაკოსი" | 16 | 44-12 | 25 |
| აეკ | 17 | 30-10 | 23 |
| „ათინაიკოსი" | 17 | 23-12 | 21 |
| პაოკ | 18 | 28-20 | 21 |

## ინგლისი

ლიგის თასის ნახევარფინალის
პირველი მატჩი
„მანჩესტერ იუნ." — „ლიდსი" 2:1
ჩემპიონატი
„ლივერპული" — „ევერტონი" 3:1
„მანჩესტერ სიტი" — „ჩელსი" 2:1

| | | | |
|---|---|---|---|
| „არსენალი" | 24 | 43-12 | 51 |
| „ლივერპული" | 24 | 46-19 | 54 |
| „კრისტალ პალასი" | 24 | 34-28 | 48 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 24 | 38-24 | 43 |
| „მანჩესტერ იუნ." | 24 | 37-26 | 40 |

## შოტლანდია

„დანდი იუნ." — „ჰიბერნიანი" 0:0
„რეინჯერსი" — „სენტ-მირენი" 1:0

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი" | 24 | 49-14 | 39 |
| „აბერდინი" | 24 | 41-30 | 32 |
| „დანდი იუნ." | 24 | 32-19 | 30 |
| „სენტ-ჯონსტონი" | 22 | 31-28 | 26 |
| „სელტიკი" | 24 | 29-30 | 23 |


# კავკასიის ბირჟა



## თქვენ არა მარტო აქციას იძენთ — ჩვენს საქმეში შემოდიხართ!

გაიხსნა ხელმოწერა რესპუბლიკაში პირველ სასაქონლო-სანედლეულო და საფონდო ბირჟის აქციებზე.
12 მარტამდე ბირჟის თანადამფუძნებელი შეიძლება გახდეს ნებისმიერი წარმოება, ორგანიზაცია თუ კერძო პირი, რომელიც „კავკასიის ბირჟის" აქციას შეიძენს.
**აქციის ნომინალური ღირებულებაა:**
**იურიდიულ პირთათვის — 100 000 მანეთი.**
**კერძო პირთათვის — 10 000 მანეთი.**
**საზღვარგარეთელი მონაწილეებისათვის — 100 000 დოლარი.**
ყურადღება! უცხოელ პარტნიორებს პირველი 10 აქცია მიეყიდებათ შეღავათით: ნომინალზე 5-ჯერ ნაკლებად!

### რა არის „კავკასიის ბირჟა"

ბირჟა — პირველი რეალური ნაბიჯია ბაზრისაკენ, იგი ორგანიზაციას უწევს საბითუმო ვაჭრობას ნედლეულით, სასურსათო საქონლით, სათბობით, წარმოების საშუალებებით, ფასიანი ქაღალდებით და ა. შ.
ბირჟის მომწოდებლებს შორის არიან რუსეთის, უკრაინის, ბალტიისპირეთის, ბელორუსიის, კავკასიის რეგიონის უმსხვილესი გაერთიანებები.
ბირჟის პარტნიორები გახდნენ ამერიკის, ინგლისის, იტალიის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების ცნობილი ფირმები.
„კავკასიის ბირჟის" სავარაუდო საწესდებო ფონდი 30.000.000 მანეთია.
მნიშვნელობა არა აქვს, ნედლეულის შეძენა გსურთ, თუ მზა პროდუქციის გაყიდვა, უპირველესად თქვენთვის აუცილებელია ადგილი ბირჟაზე, ამ ადგილის ფასი კი დღითიდღე გაიზრდება.
ბირჟა მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის ადგილი როდია, ბირჟა დამოუკიდებელი მომგებიანი საწარმოა!

### რას იძლევა „კავკასიის ბირჟის" აქცია

აქცია მოქმედების თავისუფლებაა. კავკასიის ბირჟის აქციონერი დამოუკიდებელია ფონდებისა და ცენტრალიზებული მომარაგებისაგან.
„კავკასიის ბირჟის" აქციის მფლობელნი არ თხოულობენ, თვითონ იღებენ. მათთვის ყველა გზა ხსნილია!
აქცია მისაწვდომს ხდის ყოველგვარ ინფორმაციას! სად, რა, როდის, რა ფასად? ბირჟის ცენტრალიზებული კომპიუტერული მეხსიერება ოპერატიულად იძლევა აუცილებელ ინფორმაციას.
აქცია გარანტირებული მოგებაა. ყოველი ფინანსური წლის დასასრულს „კავკასიის ბირჟის" აქციები მინიმუმ 20 პროცენტით „მძიმდება". ზემო ჭდე განუსაზღვრელია.
აქციის მფლობელი დამფუძნებლები შეიძლება არჩეულ იქნან ბირჟის საბჭოში და უფლება აქვთ გახსნან ბლოკირებული (მაკლერული) კანტორა.

### როგორ გავხდეთ „კავკასიის ბირჟის" აქციონერი

აკრიფეთ ტელეფონის ნომერი 74-35-49. ყოველდღე, 10-დან 17 საათამდე ამ ნომერზე მიიღებთ ამომწურავ ინფორმაციას.
„კავკასიის ბირჟის" აქციის მფლობელი რომ გახდეთ, საკმარისია თავდაპირველად შეიტანოთ აქციის ნომინალური ღირებულების მხოლოდ 30 პროცენტი. რაც მთავარია, ეს უნდა გააკეთოთ დამფუძნებელ კონფერენციამდე, რომელიც 1991 წლის 12 მარტს შედგება.
ბირჟის წესდებას დღესვე შეგიძლიათ გაეცნოთ გაერთიანება „ამირანის" გამგეობაში, სადაც დროებით მოთავსებულია ბირჟის საორგანიზაციო კომიტეტი.
ფულის შეტანა აუცილებელია კომერციულ ბანკ „ამირანში". ანგარიშის № 000161213 სსრ კავშირის სახ. ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველო, ქ. თბილისი მფო 521006
ყველა საკითხის გასარკვევად მიმართეთ მისამართით: ქ. თბილისი, 380020, ქეთევან წამებულის გამზ. 71
ტელეფონი 74-35-49, ტელეფაქსი (8832) 51-55-29, ტელექსი 212254 MUZA SU

**სააქციო საზოგადოება «კავკასიის ბირჟა»** **სარეკლამო სააგენტო «მი-მი-ნო»**




## თუ კაცი მოინდომებს მიუწვდომელი არაფერია!

ჩვენი ინდექსია 66441

1 თვე — 1 მან. 73 კაპ. 3 თვე — 5 მან. 19 კაპ.
6 თვე — 10 მან. 32 კაპ. 12 თვე — 20 მან. 76 კაპ.


# კიდევ დაუწყებენ დევნას?

ამ ცოტა ხნის წინათ სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა ფრედერიკ დე კლერკმა სახალხოდ აუწყა ყველას აპარტეიდის ზოგიერთი კანონის გაუქმება. მის განცხადებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამ ქვეყანაშიც და მთელ მსოფლიოშიც...

ზოლა პიტერსმა მძლეოსნურ ბილიკზე დაბრუნება გადაწყვიტა. იგი იმედოვნებს, რომ პრეზიდენტის ამ გამოსვლის შემდეგ სამხრეთ აფრიკის სპორტსმენები თავს დააღწევენ საერთაშორისო იზოლაციას და შეიძლება ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის საშუალებაც მიეცეთ.

ზოლა პიტერსი, რომელსაც გათხოვებამდე მთელი სპორტული სამყარო ზოლა ბადის სახელით იცნობდა, ჯერ 25 წლისაც არ არის (26 მაისს შესრულდება), მაგრამ უკვე იმდენი რამ გადახდა, ზოგს მთელი სიცოცხლე ეყოფა. სამხრეთ აფრიკელი ფერმერის შვილს მორბენლის იშვიათი ნიჭი აღმოაჩნდა. ჯერ კიდევ 16 წლის ზოლა, რომელიც სიმაღლით 156 სმ იყო და სულ 38 კილოგრამს იწონიდა, თავისი ასაკის პირობაზე საოცარ შედეგებს აღწევდა. მაგალითად, 1500 მეტრი მან 4 წუთსა და 9 წამში გაირბინა, ხოლო 3 კილომეტრი — 8 წუთსა და 59,2 წამში. ამასთან იგი ფეხშიშველა დარბოდა და ამითაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა.

მორბენლის ნიჭს წინ ეღობებოდა თავისი ქვეყნის იზოლაცია საერთაშორისო სარბიელზე. მაგრამ გამოსავალი მოინახა: დიდი ბრიტანეთის სპორტის მესვეურები საკმაოდ ენერგიულად დაეხმარნენ ზოლას, რათა იგი ამ ქვეყნის ქვეშევრდომი გამხდარიყო. ზოლას ნიჭი დიდი ბრიტანეთის გუნდში გაიფურჩქნა. მაგალითად, 1985 წელს, 19 წლის სპორტსმენმა მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი კროსში, 20 წლისამ კი (როცა მისმა წონამ უკვე 45 კილოგრამს „მიაღწია", ხოლო სიმაღლემ — 163 სანტიმეტრს) 3 კილომეტრზე ბრწყინვალე შედეგი აჩვენა — 8.28,83. მაგრამ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე ზოლას არ გაუმართლა: 18 წლის მორბენალი, რომელიც ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტად ითვლებოდა, 3 კილომეტრზე რბენისას თავის ძირითად მეტოქეს, ასევე სახელოვან ამერიკელ მძლეოსანს მერი დეკერ-სლეინის დაეჯახა. ორივე ფავორიტი დაეცა და რუმინელ მარიჩიკა პუიკას გაეხსნა გზა ოქროს მედლისკენ.

ახლა კი ზოლას „თავგადასავლებზე". მას შემდეგ, რაც იგი დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომი გახდა, საბჭოთა პრესამ ფართო კამპანია გაშალა და ინგლისის სპორტის მესვეურებს აპარტეიდის მფარველობაში დასდო ბრალი. კრიტიკის ამ ქარცეცხლის დიდი ნაწილი, ცხადია, ზოლას ხვდებოდა. დიდი ნაგაზის ყეფას პატარა ფინიებიც რომ აჰყვებიან ხოლმე, მაშინაც ამის მსგავსი რამ მოხდა: ზოლას წინააღმდეგ „ცივ ომში" რასაკვირველია, ჩაება სოციალისტური ქვეყნების პრესა და დასავლეთის საინფორმაციო სამსახურების „დემოკრატიული" (საბჭოთა გაგებით) ნაწილიც. საბჭოთა კავშირს ამ კამპანიისთვის „ორმაგი" საბაბი ჰქონდა: ზოლა ბადი მრისხანე მეტოქე გახდა საბჭოთა მორბენლებისთვის, თანაც იმ დისტანციებზე, სადაც ისინი თითქმის არ თმობდნენ პირველობას. მაგალითად, 1985 წელს მოსკოვში, ევროპის თასის გათამაშებისას, სიმპათიურმა ზოლამ, რომელიც სტაიერი ქალის პირობაზე მეტისმეტად ნაზად გამოიყურებოდა, 3-კილომეტრიან დისტანციაზე პირში ჩალა გამოავლო სამ საბჭოთა „დეიდას"...

მოკლედ, ამ ინფორმაციულ-პროპაგანდისტული ტერორით ზოლას სიცოცხლე ჯოჯოხეთად უქციეს. იმასაც კი ცოდვად უთვლიდნენ, მშობლებთან რომ ჩადიოდა სამხრეთ აფრიკაში (იმაზე კი, რომ სამხრეთ აფრიკის ზანგი მოსახლეობა უფრო ნაკლებადაა დისკრიმინირებული, ვიდრე საბჭოთა რესპუბლიკების მკვიდრი მცხოვრებნი, მაშინ საერთაშორისო პრესაში საუბარი „მოდაში არ იყო"). ზოლა ბადმა ველარ გაუძლო ამდენს და ერთხელ აქვითინებული სასწრაფოდ გაემგზავრა სამხრეთ აფრიკაში, სადაც სასოწარკვეთილმა განაცხადა, აღარც მძლეოსნობის გაგონება მსურს, აღარც ევროპის დანახვაო. ამას სხვა უბედურებაც მოჰყვა: ზოლას მამა — პიტერ ბადი — ერთ ღამეს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს...

ახლა კი ზოლას, უკვე ზოლა პიტერსს, კვლავ ვიხილავთ მძლეოსნურ ბილიკზე. ტელევიზორში, ცხადია.



# როგორი ამინდია მაღლა?



შონ ბრედლის გამოჩენამ კოლეჯთა ეროვნული ათლეტური ასოციაციის კალათბურთელთა ჩემპიონატზე ნამდვილი ფურორი მოახდინა: 18 წლის ბიჭი სიმაღლით ზუსტად 7 ფუტი და 6 დუიმი იყო. „ჩვენს ენაზე" ეს 228 სმ-ს (!) ნიშნავს.

ბრედლის კოლეჯს ცნობილი ფირმა „მაკდონალდი" მფარველობს, რომელსაც ალბათ სარფიანად შეუძლია გამოიყენოს მისი სიმაღლე თავისი ცნობილი კატლეტების „ჰამბურგერების" რეკლამისთვის. ამ ფირმისაა ეს სპორტული სამოსიც, ბრედლის (და, ცხადია, მის თანაგუნდელებს) რომ აცვია. ახალგაზრდა ამერიკელ გიგანტს კალათბურთის გარდა გოლფი, ჩოგბურთი და წყლის თხილამურებიც ჰყვარებია. მისი მწვრთნელი ამტკიცებს, რომ შონ ბრედლი კარგად დარბის და „კარგი ნახტომიც" აქვსო (თუმცა ამ სურათის მნახველ კაცს შეიძლება გაუკვირდეს, რაში სჭირდება მას ნახტომი).

როგორც ვთქვით, ბრედლი ჯერ მხოლოდ აშშ-ის სტუდენტთა პირველობაში გამოდის, მაგრამ იოლი სავარაუდოა, რომ ასეთი მონაცემების მქონე ნოთამაშეს უკვე დაადგამდნენ თვალს ნბა-ს კლუბების მესვეურები. სხვათა შორის, იგი იუტას შტატიდან გახლავთ, სადაც გამოდის ცნობილი პროფესიული კლუბი „იუტა ჯაზი".

## ევროპის ჩემპიონატი

### მე-6 შესარჩევი ჯგუფი

### მალტა — პორტუგალია 0:1

პორტუგალიის ნაკრებს ლა ვალეტაში ძალიან გაუჭირდა ჯგუფის აუტსაიდერის დამარცხება. ერთადერთი გოლი 26-ე წუთზე პაულუ ფუტრემ გაიტანა. მეორე ტაიმში პორტუგალიელები მთელი გუნდით იცავდნენ თავს და რამდენჯერმე აშკარა გოლს გადაურჩნენ. პორტუგალიელი მიმომხილველების შეფასებით, მათი ნაკრების თამაში „საცოდავ სანახაობას" წარმოადგენდა. პორტუგალიელთა გუნდში საუკეთესო ფეხბურთელი მეკარე ვიქტორ ბაია იყო, რომელმაც სტუმრები შარცხს გადაარჩინა.

20 თებერვალს ეს გუნდები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად პორტუგალიაში.

## აქეთური, იქითური...

მიუნხენის „ბაიერნის" მცველი, 24 წლის შტეფან როიტერი მომავალი სეზონიდან ტურინის „იუვენტუსში" ითამაშებს. როგორც „იუვენტუსის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, როიტერმა კლუბთან სამწლიანი ხელშეკრულება დადო.

■ ■ ■

ავტომრბოლელთა „ფორმულა I"—ის წლევანდელ ჩემპიონატში ნაწილობრივ იცვლება ქულათა დარიცხვის სისტემა. უწინდელი ცხრის მაგივრად ეტაპის გამარჯვებულ მრბოლს ამიერიდან ათი ქულა მიენიჭება, შეჯიბრების საბოლოო ცხრილში კი გასამართავი 16 ეტაპიდან 14 უკეთესის შედეგი ჩაითვლება — ადრინდელი 11-ის ნაცვლად.

■ ■ ■

კომის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ სიკტივკარში უნდა გამართულიყო მსოფლიო ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში ჭაბუკთა შორის. რაკილა სკანდინავიის ქვეყნებმა პოლიტიკური მოტივებით სსრკ-ში გუნდების ჩამოყვანაზე უარი განაცხადეს, შეჯიბრება სადეკემბროდ გადაიდო იმის იმედით, რომ მანამდე საბჭოეთში მშვიდობა და საამ-ტკბილობა დამყარდება.

■ ■ ■

სამხრეთი და ჩრდილოეთი კორეის სპორტის „მამათა" ურთიერთშეთანხმებით პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კორეა ერთ გუნდს გამოიყვანს მაგიდის ჩოგბურთელთა და ჭაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიო პირველობებზე, რომლებიც წლეულს, შესაბამისად, იაპონიასა და პორტუგალიაში უნდა გაიმართოს.

■ ■ ■

ავსტრალიის რაგბის კავშირმა მხარი დაუჭირა სამხრეთი აფრიკის რაგბის საბჭოს წინადადებას, 1995 წლის მსოფლიო თასის გათამაშება ახლანდელი „რასიზმის ციტადელში" რომ გაიმართოს, მაგრამ ავსტრალიელთა მეზობლების — ახალზელანდიელთა აზრით, დათქმულ ვადამდე დარჩენილი წლები სამხრეთ აფრიკაში მოქმედი რასისტული კანონების გასაუქმებლად მაინც ვერ იკმარებს. შეჯიბრების გამართვის სხვა კანდიდატები თავად ახალი ზელანდია, არგენტინა და კანადა არიან.

■ ■ ■

ინგლისის ჩოგბურთის ხელისუფლებმა სამწლიანი კონტრაქტის გასრულებამდე 18 თვით ადრე დაითხოვეს ავსტრალიელი მწვრთნელი ვორენ ჯეისი, რომლის ხელმძღვანელობითაც ინგლისის ვაჟ ჩოგბურთელთა ნაკრები დევისის თასის გათამაშების ქვედა ლიგაში ჩამოქვეითდა, მსოფლიოს ორასი უძლიერესი ჩოგბურთელის სიას კი ერთადერთი ინგლისელიღა შემორჩა.

■ ■ ■

ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ჩემპიონ წყვილს — მარინა კლიმოვასა და სერგეი პონომარენკოს დისკვალიფიკაცია არ ასცდებათ, თუკი კლიმოვასგან აღებული სინჯი განმეორებითი დოპინგ-კონტროლის მოთხოვნებსაც ვერ შეეფერება.

■ ■ ■

„ტექნიკურ მიზეზთა" გამო მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატს გამოაკლდა... წყნარი ოკეანის სუბტროპიკებში მდებარე ფიჯის კუნძულების გუნდი, რომელშიც ერთი სპორტსმენი და ორი ოფიციალური პირი უნდა ყოფილიყო.

■ ■ ■

ესპანეთმა წარადგინა განაცხადი ფეხბურთელთა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ამ ქვეყანაში ჩასატარებლად. შეჯიბრების მასპინძლობის კანდიდატებად დასახელებულია ოთხი ქალაქი: სევილია, მალაგა, კადისი და უელვა.

აქეთური, იქითური...

„სარბიელის" სპონსორია კოოპერატივი „ტრანსკავშირი"

გამოდის პარასკეობით

სარბიელი

ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი: თბილისი 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. 48. გაზეთ „სარბიელის" რედაქცია. ტელეფონი: 39-18-87.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.

სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი.